მინიშნება ფინანსთა სამინისტროს

A3

არველაძემ სირცხვილისგან გვიხსნა

A6

ავიაკომპანიების "შავი სია"

A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 2005 წელი. №256 (1116)

ფასი 50 თეთრი

"ქალაქში მკვლელია"

ტრანსპარანტმა, რომელმაც თბილისელებს ქალაქში მკვლელის ყოფნა აუწყა, დიდი გაუგებრობა გამოიწვია. "წარწერის წაკითხვისთანავე მიმოვიხედე და ვინც დავინახე, ყველა მკვლელი მეგონა," - თავის რეაქციაზე გვითხრა თბილისის მკვიდრმა მაია ქორიძემ. ამგვარი სახის წარწერა თბილისში ერთდროულად რამდენიმე ადგილზე გაჩნდა, მათ შორის, რუსთაველის გამზირზე, თავისუფლების მოედანზე, თამარ მეფის ხიდთან, ყაზბეგისა და მელიქიშვილის გამზირებზე.

"გაოგნებული ვარ. ვერ ვხვდები, იხუმრა ვინმემ თუ მართლა რაიმე საფრთხის წინაშე ვდგავართ?" - ერთმანეთს ეკითხებოდნენ გაუგებრობაში აღმოჩენილი თბილისელები.

წარწერამ "ქალაქში მკვლელია" არა მარტო რიგითი მოქალაქეები, არამედ სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებიც დააბნია. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა მაქაცარია,

გაგრძელება A2 გვერდზე

ქართული მხარე კვლავ ფორმატის შეცვლას ითხოვს

ლუბლიანაში ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის დიმიტრი რუპელის ინიციატივით მიმდინარე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის გუშინდელ სხდომაზე, ქართულმა მხარემ კვლავ მოლაპარაკებათა არსებული ფორმატის შეცვლის აუცილებლობა დააფიქსირა. ოსური და რუსული მხარეები კი რუსეთის, საქართველოსა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების შეხვედრის ინიციატივით გამოვიდნენ. მოლაპარაკება დაძაბულ ვითარებაში წარიმართა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა, როდესაც რუსული მხარის თანათავმჯდომარემ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ვალერი კენიაკინმა სოჭში ვლადიმირ პუტინის, მიხეილ სააკაშვილისა და ედუარდ კოკოითის ერთობლივი შეხვედრის საკითხი დასვა. ხაინდრავას ამასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატვა სურდა, მაგრამ ოსური მხარის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა მას სიტყვა რამდენჯერმე გააწყვეტინა, პირად შეურაცხყოფასაც არ მოერიდა, ხაინდრავა ბრეჟნევს შეადარა და ქართველი ჟურნალისტების მიერ სხდომის დატოვება კატეგორიულად მოითხოვა.

"დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი პოზიციის სისწორე, რომ არსებულ ფორმატში მუშაობა შეუძლებელია. იმიტომ, რომ როგორც ოსური, ისე რუსული მხარეების დესტრუქციული პოზიცია, პრაქტიკულად, არ გვაძლევს შესაძლებლობას, რაიმე რეალური შედეგი მივიღოთ," - განაცხადა ხაინდრავამ მას შემდეგ, რაც სხდომას დაუბრუნდა.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით ვალერი კენიაკინმა განაცხადა, რომ პროცედურულ საკითხებზე შეიძლება აღშფოთდე და თქვა, რომ სხდომას ვტოვებ, რაც ხაინდრავამ გააკეთა.

გაგრძელება A3 გვერდზე

აფხაზური მხარე გალში ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის გახსნის წინააღმდეგია

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი საერთაშორისო ორგანიზაციებს უმტკიცებს, რომ მათი ხელისუფლება გალის რაიონში სიტუაციას აკონტროლებს. სამშაბათს იგი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს კომისარს პოლ ეკუსას და უფროს მრჩეველს მისაია გრინჩვეს შეხვდა. შეხვედრაზე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გალის რაიონში ვითარების გართულების, ადამიანის უფლებების დარღვევისა და სკოლებში სასწავლო პროცესის ჩაშლის საკითხები წამოწიეს. როგორც შეხვედრაზე ანქვაბმა განაცხადა, გალის რაიონში მომხდარი ყველა დანაშაულებრივი ფაქტის გამო, ისინი დე ფაქტო სამართალდამცავ ორგანოებს კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას მოსთხოვენ. ხოლო რაც შეეხება სკოლებში სასწავლო პროცესის ჩაშლას, ანქვაბმა აღნიშნა, რომ გალის სკოლებში სწავლება აფხაზეთის დე ფაქტო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის მიხედვით უნდა განხორციელდეს.

ქართული მხარე კი დაჟინებით ითხოვს გალის რაიონში გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნას და იქ გაეროს სამოქალაქო პოლიციის განთავსებას. ამისი აუცილებლობა ბოლო დროს გალის რაიონში ვითარების დაძაბვის შემდეგ უფრო გამოიკვეთა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, კერძოდ, სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ზონებში, ადამიანთა გატაცებისა და შეიარაღებულ ბანდფორმირებათა დაუსჯელი თარეშის გამო, შეშფოთება გამოთქვა საქართველოს ხელისუფლებამაც.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში იყო ნათქვამი, კონფლიქტურ რეგიონებში არ წყდება ადამიანთა უფლებების დარღვევისა და ძალადობის ფაქტები: **"სამშვიდობო ძალები, უკეთეს შემთხვევაში, თვალს ხუჭავენ სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების მფარველობის ქვეშ მყოფი შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფებების ქმედებაზე, რომლებიც ეთნიკურად ქართული მოსახლეობის მიზანმიმართულ ტერორს ახორციელებენ".**

გაგრძელება A5 გვერდზე

ომი თუ მშვიდობა - როგორ დავიბრუნებთ აფხაზეთს?

ავთო ჭოხაძე

პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული რეზოლუცია, რუსი სამშვიდობოების შესაძლო გაყვანის თაობაზე, ხელახლა აღვივებს აფხაზეთის დაბრუნების მინავლებულ იმედს. აქამდე აფხაზეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სახელმწიფოს აფხაზეთის დაბრუნების გააზრებული სცენარები თითქოს არც გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლება არ იყო მოვლენათა განვითარების ტონის მიმცემი და კანტი-კუნტი მცდელობის მიუხედავად, საერთო ჯამში, პასიური მომლოდინეს პოზაში იყო გახევებული. შეიცვალა თუ არა პრობლემისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ამასობაში კი სულ უფრო მეტ მხარდამჭერს პოულობს სამოქალაქო საზოგადოებისეული ხედვა, რომელსაც პირობითად **"სამოქალაქო პაციფიზმი"** შეიძლება დავარქვათ.

ამ მიდგომის თანახმად, აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანად უნდა გადაიჭრას; აკი დასავლელი დიპლომატები მხოლოდ ამას გვირჩევენ.

პაციფისტები აფხაზეთის პრობლემას განიხილავენ, როგორც *შიგასახელმწიფოებრივს*. აფხაზეთის კონფლიქტის შიგაკონფლიქტად გააზრების შემთხვევაში, ომის გზით აფხაზეთის დაბრუნება იმთავითვე გამორიცხულია, რადგან ომობენ სახელმწიფოები (და არა ადამიანები, - ადამიანები მხოლოდ იბრძვიან ომებში); ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ ერთ სახელმწიფოში; სახელმწიფო კი თავის თავთან ვერ იომებს.

გაგრძელება A8 გვერდზე

ამბები

აზერბაიჯანული მოსახლეობა მიწებს ითხოვს

"ჩვენი შვილების დასაპურებლად მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილს ვითხოვთ," - ასეთი ლოზუნგით გუშინ მარნეულის რაიონის სოფელ დამეგიურახის მოსახლეობამ სახელმწიფო კანცელარიასთან რიგით მესამე საპროტესტო აქცია გამართა.

A2

განათლება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - ცვლილებები, პერსპექტივები

A2

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A5

ამინდი

	17/11	18 /11
თბილისი	15	16
ქუთაისი	18	20
სოხუმი	18	19
დმანისი	11	12
გორი	13	13
ონი	11	12
ზუგდიდი	20	21
ახმეტა	15	15
გაგრა	13	16
სამტრედია	20	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7975
ევრო	2.1074
ბირვანძა სტერლ.	3.1196
რუბლი	0.0623

ამბები	A 2
ამბები	A 3
სტუმარი	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
ამბები	A 8
ტენდერი	A 9
ტენდერი	A10
ტენდერი	A11
სხვადასხვა	A12

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ყოველდღიურად არ იცვლება

მაია ჭალაბანიძე

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი ეკონომიკური მრჩეველი ჩვენს ქვეყანას ბოლოს 2001 წელს სტუმრობდა. მაშინ ამ ქვეყანაში სუსტი ხელისუფლება, აქტიური და მზარდი სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი იყო. ეს ახლა უკვირთ უმრავლესობის წარმომადგენლებს სისხლის სამართლის კოდექსზე უბრალო მოქალაქეების საპროტესტო გამოსვლები. მაშინ კი საზოგადოება გახსნილად მსჯელობდა და აპროტესტებდა ყოველ ეკონომიკურ სანქციას, რომელსაც მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციები გვიწესებდნენ. მაშინ ბევრი "მოხვდა" ბალცეროვიჩსაც, მაგრამ მის რეკომენდაციებში მაშინაც და ახლაც მთავარი ქადაგება ეკონომიკის პოლიტიკისგან გათავისუფლებაა. ჩვენთან ამ მავნე ჩვევაზე უარის თქმა არც ისე ადვილია, სხვაგვარად კი "შოკური თერაპიის" ავტორს წარმოუდგენლად მიაჩნია ღარიბი და არშემდგარი ქვეყნის განვითარება.

გაგრძელება A4 გვერდზე

ლეშეკ ბალცეროვიჩი საქმიან შეხვედრაზე თბილისში.

იური ლეონოვის ფოტო

ჯორჯ ბუში ჩინეთს მეტი თავისუფლებისკენ მოუწოდებს

აშშ-ში კი ჩინელი ჯაშუშები გამოააშკარავეს

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჩინეთის ხელმძღვანელობას მოუწოდა, მეტი თავისუფლება მისცეს ქვეყნის მოსახლეობას.

აზიურ ტურნეში მყოფმა ბუშმა, ოთხშაბათს კიოტოში გამოსვლისას განაცხადა, რომ ჩინეთის ლიდერებს არ უნდა ეშინოდეთ თავისუფალი საზოგადოების. პრეზიდენტის თქმით, ამის შესახებ იგი პეკინში ჩასვლისასაც აპირებს საუბარს.

ბუშმა, განსაკუთრებით, ხაზი გაუსვა რწმენის თავისუფლებას და აღნიშნა, რომ ჩინეთმა აუცილებლად უნდა შეცვალოს ამ საკითხთან მიმართებაში თავისი პოზიცია.



ჯორჯ ბუშის ღრმა რწმენით, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება ჩინეთის ინტერესებსაც შეესაბამება.

გაგრძელება A8 გვერდზე

"ქალაქში მკვლელია"

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რომელმაც თავისი საქმიანობა ბილბორდებთან "ბრძოლით" დაიწყო, განაცხადა, რომ **"სარეკლამო ბილბორდის განთავსებაზე პასუხს, ალბათ, ქალაქის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური აგებს."** მკვლელის "სარეკლამო" ბილბორდმა დედაქალაქის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ნიკა ჩხაიძეც დააბნია. **"წარმოდგენა არ მაქვს. არ ვიცი, ვინ უნდა დართოს ნება რეკლამის განთავსებაზე. ძალიან გთხოვთ, ახლა ამაზე ნუ მაფიქრებთ,"** - ასეთი გახლდათ მისი პასუხი.

ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა პირობა დადო, რომ "თავისი თვალით ნახავდა პლაკატს". თუმცა, მსგავსი პლაკატი მის სამსახურთან რომ ვერ ნახა, რატომღაც გაუკვირდა. **"ავტორი ჯერჯერობით უცნობია და მერიის შესაბამისი სამსახურები ამ წარწერებს უახლოეს საათებში ჩამოხსნიან,"** - სუბელიანის ნათქვამი სისრულეში მალე მოიყვანეს.

თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში განაცხადეს, რომ აღნიშნული წარწერების გამოქვეყნების შესახებ უწყებისთვის არავის მიუმართავს. ამდენად, ეს შესაძლოა, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საპროტესტო PR გახლდათ.

რაც შეეხება სამართალდამცველებს, ეს უკანასკნელნი მოსახლეობას სთხოვდნენ, **"თუ რამე გაიგოთ, ჩვენც გაგვაგებინეთო."** თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გრიგალაშვილმა ამასთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გააკეთა.

PR-აქციის საიდუმლოს, რომელმაც მოსახლეობა ინტერესში ჩააგდო, მისი ორგანიზატორები, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გაამხელენ.

24 საათი

თავდაცვის მინისტრი ვაზიანში ჩატარებული წვრთნებით კმაყოფილია

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე გუშინ საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ბრიგადის 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საჩვენებელი სწავლება გაიმართა. აღნიშნული ბატალიონი ერაყში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად ემზადება.

ჯარისკაცები 22 აგვისტოდან კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში სპეციალურ მომზადებას "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების" პროგრამის ფარგლებში გადიან. ბატალიონს ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ამზადებენ. სწავლების სრული კურსი დეკემბრის ბოლოსათვის დასრულდება.

საჩვენებელი წვრთნების მიზანი სამთვიანი მზადების პერიოდში შესწავლილი მასალის პრაქტიკული განხორციელება იყო. წვრთნაში მონაწილეობა ბატალიონის ერთმა ასეულმა მიიღო. "ალფა" ასეულმა წინასწარი ბრძანებით დაგეგმილი შეტევა განახორციელა, დაიკავა სიმაღლე, სადაც პირობითი მოწინააღმდეგის ლოგისტიკური უზრუნველყოფის პუნქტი იყო განლაგებული. ობიექტის საბრძოლო ვაზნებით აღების ამოცანა ასეულმა წარმატებით განახორციელა.

საჩვენებელ სწავლებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და აშშ-ს სამხედრო ატაშე ალან ჰესტერი ესწრებოდნენ. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, იგი ნანახით კმაყოფილი დარჩა. ქართველი ჯარისკაცების მომზადების დონე ამერიკელმა ინსტრუქტორებმაც დადებითად შეაფასეს.

ამერიკის ელჩის ჯონ ტეფტის განცხადებით კი, ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ ჯარისკაცებს არა მარტო სროლას, არამედ ფიქრსაც ასწავლიან, რომელიც მათ ექსტრემალურ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. "ის, რაც ვნახეთ, ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის კარგი მაგალითია," - აღნიშნა ელჩმა.

22-ე ბატალიონი ერაყში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მარტის თვეში გაემგზავრება.

ინტერპრესნიუსი

აზერბაიჯანული მოსახლეობა მიწებს ითხოვს

თამარ დვალი

"ჩვენი შვილების დასაპურებლად მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილს ვითხოვთ," - ასეთი ლოზუნგით გუშინ მარნეულის რაიონის სოფელ დმანეგიურახის მოსახლეობამ სახელმწიფო კანცელარიასთან რიგით მესამე საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ხელისუფლებას სახნავ-სათესი მიწებით დაკმაყოფილებას სთხოვენ. როგორც მარნეულის გამგებელი ამირან შუბითიძე აცხადებს, ამ აქციების უკან კერძო ინტერესები დგას.

საპროტესტო აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან ასეთ წარწერასაც ნახავდით: "ჩვენ პრეზიდენტის საშინაო და საგარეო საქმეების მომხრენი ვართ." მსგავსი ლოზუნგებით, უკვე კარგა ხანია, რაც მარნეულის რაიონის სოფელ დამეგიურახის მოსახლეობა სახელმწიფო კანცელარიასთან აქციებს მართავს. როგორც მოსახლეობა აცხადებს, მათ რაიონში, ისევე როგორც სოფელში, მიწების დიდი რაოდენობა ამა თუ იმ პირებზე არენდით არის გაცემული და სოფლის ძირითადი მოსახლეობა, ფაქტობრივად, მიწის გარეშეა დარჩენილი.

ასე არ ფიქრობს მარნეულის გამგებელი ამირან შუბითიძე. მისი განცხადებით, აქციის მონაწილეთა უმეტესობას 5-8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვს.

"მას შემდეგ, რაც მარნეულის რაიონის მოსახლეობამ კანცელარიასთან აქციების გამართვა დაიწყო, პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილმა საქმის შემსწავლელი კომისია ჩამოაყალიბა. კომისიაში შევიყვანეთ ის ხალხიც, რომლებიც აქციებს მართავენ, თუმცა მათ დიდი დაინტერესება არ გამოუჩენიათ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პიროვნულ დაპირისპირებასთან. ამ ხალხს უნდა, რომ სხვებს ჩამოვართვათ მიწები და მათ გადავცეთ. საერთოდ, მიწების განაწილების პრობლემა წინა ხელისუფლებიდან გადმოგვყვა," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ამირან შუბითიძემ. მისივე განმარტებით, თუკი მოჯარეს დარღვევები არა აქვს, კანონის თანახმად, სახელმწიფოს ხელშეკრულების გაუქმების უფლება არ აქვს. მარნეულში ერთი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა და მოიჯარემ სასამართლოს მეშვეობით მიწის დაბრუნება შეძლო. პრობლემას ისიც ქმნის, რომ ამჟამად მიწები იჯარით აღარ გაიცემა. მიწის გასხვისება აუქციონის წესით ხდება. ჯერ აუქციონის მეშვეობით მარნეულში მიწის ნაკვეთი არ გაყიდულა.

სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს ალტერნატიული წინადადებებით მიმართა

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების პროექტს აპროტესტებს და აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილებები ადამიანის უფლებებს არღვევს. გუშინ სალომე ზურაბიშვილმა თავისი ორგანიზაციის - "სალომე ზურაბიშვილის მოძრაობის" - სახელით, პარლამენტში სისხლის სამართლის კოდექსთან დაკავშირებით ალტერნატიული წინადადებები შეიტანა.

ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დოკუმენტაცია საკანონმდებლო ორგანოს კანცელარიას ჩააბარა.

ზურაბიშვილის თქმით, მის შეშფოთებას იწვევს ცვლილებების პროექტის ის მუხლი, რომლის მიხედვითაც, საგამოძიებო ორგანოებს ანონიმური შეტყობინების საფუძველზე საგამოძიებო ოპერატიული ქმედებების ჩატარების უფლება აქვთ.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ანონიმური შეტყობინება შესაძლოა მიკერძოებული და არაობიექტური იყოს და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან მათზე რეაგირება ადამიანის უფლებებს დაარღვევს.

ასევე ზურაბიშვილი აღშფოთებულია ცვლილებების პროექტის იმ მუხლით, რომლის მიხედვითაც, პიროვნებაზე ფარული თვალთვალი მხოლოდ მოსამართლის განჩინებით ხდება. ყოფილი მინისტრის თქმით, ფარულ თვალთვალზე მოსამართლესთან ერთად მკაცრი კონტროლი პროკურორმაც უნდა დააწესოს.

"თუ ზემოხსენებული ცვლილებები კოდექსში შევა, ჩვენ ძველ დროს დავუბრუნდებით. იმედი მაქვს, პარლამენტი ჩვენს წინადადებებს გაგებით მოეკიდება," - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილის ალტერნატიული წინადადებები პარლამენტის თავმჯდომარის აპარატს გადაეგზავნება, რომელიც მათ საკანონმდებლო ორგანოს იურიდიულ კომიტეტს გადასცემს.

მედიანიუსი

მოკლედ

სააკაშვილმა პუტინი მოიწვია

გუშინ მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ტელეფონით ესაუბრა და საქართველოში მოიწვია. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, მიხეილ საკაშვილმა ვლადიმირ პუტინის თბილისში ჩამოსვლა აუცილებელ პირობად მიიჩნია. "ეს ხელს შეუწყობს იმის დადასტურებას, რომ საქართველო რუსეთის მეგობარი ქვეყანაა, რაშიც პუტინი პირადად უნდა დარწმუნდეს," - ასეთია საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია. პრეზიდენტებმა სატელეფონო საუბრის დროს საქართველოდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის საკითხიც განიხილეს. მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმირ პუტინს განუცხადა, რომ ქართული მხარე მზადაა, ჩარჩო-ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა დადო პირობა, რომ ეს ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებას დაეჩქარებს.

მედიანიუსი

მთავრობას "კომპეტენტური მრჩეველი" დაეხმარება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ ირაკლი ჩოგოვაძის შეფასებით, პრივატიზაციის პროცესი საქართველოში საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. როგორც ჩოგოვაძემ გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დღევანდელი მონაცემებით, 2005 წელს პრივატიზაციიდან საქართველოს ბიუჯეტში დაახლოებით 300 მილიონი ლარი შევიდა. **"უახლოეს მომავალში იგეგმება პრივატიზაციის ჩატარება ენერგეტიკის და კავშირგაბმულობის სფეროებში. 2006 წელს დაგეგმილია ელექტროკავშირის, ასევე, ხუთი ჰესის და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზება,"** - აღნიშნა მინისტრმა.

ირაკლი ჩოგოვაძე დარწმუნებულია, რომ პრივატიზაციის პროცესი წარმატებით განხორციელდება და საქართველოს ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხები შევა. ჩოგოვაძის განცხადებით, ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა უახლოეს მომავალში კომპეტენტურ იურიდიულ მრჩეველს აიყვანს, რომელიც ქართულ მხარეს პრივატიზაციის განხორციელებაში დაეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - ცვლილებები, პერსპექტივები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ერთ დროს სანატრელი, ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული, ჰუმანური პროფესიის სპეციალისტებს რომ ამზადებდა ჩვენს ქვეყანაში, 75 წლის ხდება. ამ ხნის განმავლობაში მრავალჭირვარამგამოვლილი უმაღლესი სკოლა დღეს ევროპის ყველაზე მოწინავე უნივერსიტეტების ალიანსს ოფიციალურად შეუერთდა. რასაკვირველია, ეს სტატუსი უდიდესი პატივია ნებისმიერი უნივერსიტეტისათვის, ხოლო მისი მოპოვება და შენარჩუნება არცთუ ისე ადვილად მისაღწევი. ასეც რომ არ იყოს, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ უნივერსიტეტი თანდათან აღიდგენს დაკარგულ ავტორიტეტს და ღირსებას.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო საშუალებების უპრეცედენტო განვითარებამ და ტექნოლოგიურმა აქსელერაციამ დღის წესრიგში დააყენა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ახალი თაობის მომზადებისა და პერმანენტული განვითარების პრობლემა. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნები უნივერსიტეტებისა და სხვა ტიპის უმაღლესი სკოლების წინაშე - მათ რეალურად დაეკისრათ "მომავლის კარიბჭის" მისია.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის ორგანიზების საკითხმა, რომლის პრინციპებსა და მიმართულებებს საფუძველი ჩაეყარა 1988 წლის 18 სექტემბერს ბოლონიის უნივერსიტეტის 900 წლისთავის ზეიმზე, ხელმოწერილი საბაზისო დოკუმენტის Magna Charta Universitatum სახით. სწორედ ამ დღიდან დაედო სათავე ე.წ. "ბოლონიის პროცესს", რომელიც 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს ზემოთ ხსენებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნით.

ბერგენის ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერა შემობრუნების წერტილად იქცა საქართველოს უმაღლესი სკოლებისათვის. გამოჩნდა ის ორიენტირი, რის მიხედვითაც უნდა განვითარდეს ეროვნული განათლების სისტემა. ჩამოყალიბდა ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს სისტემის ყველა კომპონენტმა,. განისაზღვრა ცვლილებების ფორმატი; შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რასაც საგანმანათლებლო სივრცეში რეფორმირების პროცესი დაეფუძნა.

2005 წლის 16 სექტემბერს ბოლონიაში "უნივერსიტეტთა დიდ ქარტიაში" გაერთიანებამ ახალი პასუხისმგებლობა დააკისრა სამედიცინო უნივერსიტეტს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ჩატარებულმა ინსტიტუტების აკრედიტაციის პროცესმა შეიძლება თამამად ითქვას, რომ სრული დევალვაციისგან იხსნა უმაღლესი სამედიცინო განათლება. მოცემულ ეტაპზე, საქართველოში არსებული სამოცზე მეტი სამედიცინო სკოლისა და ფაკულტეტისგან მხოლოდ თერთმეტმა მიიღო უფლება აწარმოოს საგანმანათლებლო ფუნქცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია აკრედიტაციის მეორე ეტაპი, რომელიც "პროგრამულ აკრედიტაციას" გულისხმობს.

იმედი გვაქვს, დადგინდება ხარისხის ის ჭეშმარიტი სტანდარტი, რისი შესრულებაც სავალდებულო იქნება ქვეყნის ყველა უმაღლესი სამედიცინო სკოლისთვის.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ ამ მიმართულებას უკავშირდება:განვლილ პერიოდში შემუშავებულ იქნა პროგრამული მოთხოვნების აუცილებელი მინიმუმის ნუსხა, ასევე უმაღლესი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სავალდებულო უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რაც სრულ შესაბამისობაშია ანალოგიურ საერთაშორისო დოკუმენტებთან.

რეფორმირების შრომატევადი პროცესი, რომელიც უნივერსიტეტში უკვე 7 თვეა მიმდინარეობს, ითვალისწინებს უმაღლესი სკოლის მართვის სისტემის რესტრუქტურიზაციას და სასწავლო პროცესის ადაპტაციას თანამედროვე მოთხოვნებისადმი.

მოხდა მმართველობითი ფუნქციების დელეგირება ფაკულტეტებზე. გადაწყდა უნივერსიტეტისთვის "ათწლეულის პრობლემა" - ე.წ. "წითელი ხაზით" ოფიციალურად დაკანონდა უმაღლესი სკოლის კუთვნილი ტერიტორია. უნივერსიტეტს მფლობელობაში დარჩა უნიკალური სპორტული კომპლექსი, რომლის რეაბილიტაციით ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი "ფიზიკური კულტურის ცენტრი" შეემატება.

სტრუქტურული რეორგანიზაცია შეეხო ფაკულტეტებს: სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტი რეორგანიზებულ იქნა და შეუერთდა სამკურნალო ფაკულტეტს; უცხო ენების ფაკულტეტი ტრანსფორმირდა ენების ინტენსიური შესწავლის ცენტრად; მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამედიცინო ბიოლოგიის, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის და პედიატრიის ფაკულტეტების სამკურნალო ფაკულტეტთან შერწყმის თაობაზე; ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაზაზე ნავარაუდევია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის შექმნა. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, დაფუძნდება უმაღლესი საექთნო სკოლა.

"ბოლონიის პროცესის" მოთხოვნების შესაბამისად, ფარმაციის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტებზე უკვე მუშავდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მომდინარე წელს, უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, ყველაზე მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩაირიცხა ინგლისურენოვან სამკურნალო ფაკულტეტზე.

საზოგადოებას კარგად მოეხსენება სამედიცინო კოლეჯის ისტორია. კოლეჯის ახალი დირექციის, უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინირებული მოქმედებით, კოლეჯის 150-მდე სტუდენტმა ინტენსიური ტრეინინგების შედეგად დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარიერი და უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე გააგრძელა სწავლა. ასამდე მათი კოლეგა სწავლას განაგრძობს კოლეჯში და პარალელურად მოემზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ "საუნივერსიტეტო ცენტრში", რომელიც უკვე შეუდგა ფუნქციონირებას.

სასწავლო პროცესის რეორგანიზაციისათვის მომზადდა კონცეფცია, რომელსაც მთლიანად დაეყრდნობა სწავლების მეთოდოლოგია თსსუ-ში. კერძოდ, საუბარია ე.წ. მოტივაციური სწავლების მოდელზე - პრობლემაზე ორიენტირებულ სასწავლო ტექნოლოგიაზე, როგორც ყველაზე ეფექტურ და შედეგიან სისტემაზე თანამედროვე სამედიცინო განათლებაში. ამისთვის განისაზღვრა პროგრამული მოთხოვნების სტანდარტი, რომელიც წარმოდგენილია თანამედროვე ბრიტანული და ამერიკული მოდელებით.

მიმდინარე სასწავლო წლიდან საბაზისო დისციპლინების სწავლებაში გამოჩნდა ავადმყოფსა და ავადმყოფობაზე ორიენტაციის ელემენტები, რითაც თსსუ შეეცდება პირველი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ პირველკურსელებს. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე მორგებულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დამოუკიდებელი მუშაობის ელემენტებს და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლას.

სამედიცინო უნივერსიტეტში გაუქმდება საკურსო საგამოცდო დისციპლინები, გაუქმდა საეტაპო ტესტირებული გამოცდები. შეიქმნა საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრი, სადაც უნივერსალური კომპიუტერული საგამოცდო პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტებს მომავალი წლიდან მთელ რიგ საგამოცდო დისციპლინებში ჩააბარონ საკურსო გამოცდები.

განვლილ პერიოდში რეორგანიზებული იქნა 14 კათედრა, შეიქმნა 2 ახალი დეპარტამენტი, ჩატარდა 11 სამეცნიერო კონფერენცია, მათ შორის 4 - საერთაშორისო, რომელთა ორგანიზატორი იყო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ყველა ცვლილება კოორდინირებულად მიმდინარეობს როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე შესაბამის საერთაშორისო ასოციაციებთან, რომელთა წარმომადგენელი ,აღიარებული ექსპერტი, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის საბჭოს წევრი, პროფესორი ბოქსანი ა.ნ. ივნის-ივლისში სტუმრობდა თსსუ-ს და ინტენსიური მუშაობის შედეგად მეტად ღირებული რეკომენდაციები მოგვაწოდა.

თსსუ-ში დაიწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოცემა. ამის ნათელი მაგალითია პათოლოგიურ ანატომიაში უკვე გამოცემული ორი სახელმძღვანელო სამკურნალო და სტომატოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტთათვის. სულ მალე მათ დაემატება თანამედროვე სახელმძღვანელოები ფიზიოლოგიაში, მეანობაში, ნერვულ სნეულებებში.

მიმდინარეობს კლინიკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გაწევრიანდა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში (Institute for Scientific Information (ISI) Web of Science, HINARI - Health InterNetwork Access to Research Initiative, MD Consult, EBSC, Oxford University Press, Cambridge University Press), რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მოიპოვონ მრავალი სამეცნიერო ჟურნალის სრული ტექსტური ვარიანტები და მოიძიონ ნებისმიერი საინტერესო მასალა წამყვანი სამეცნიერო ცენტრებიდან. უნივერსიტეტში ტარდება ლექცია-სემინარები სტუდენტებისათვის საინტერესო თემებზე, ხშირად უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით.

თსსუ-მ უმასპინძლა ვენის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ რესჩს, რომელმაც ოსტეოპოროზის აქტუალურ საკითხებზე წაიკითხა ლექცია. ასევე მნიშვნელოვანია,ამერიკის საზღვაო ძალების კაპიტნის, მედ. მეცნ. დოქტორის, ჯონ ანჯელო პერსიბალის ლექციათა კურსი სამხედრო ქირურგიაში, რომელიც დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ამერიკელი სამხედრო-ქირურგის ლექციათა კურსი მიმდინარეობს საქართველოში "სტაბილურობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ოპერაციის პროგრამის" ფარგლებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა 2005 წლის 7 ნოემბერს უმასპინძლა და საპატიო დოქტორობა მიანიჭა ავსტრიის ქალაქ გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს-ვალტერ გერჰარდსა და ავსტრიის შტრიის რეგიონის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს, დოქტორ ერნსტ ჰეკეს. შეხვედრაზე აღინიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონალური ჯანდაცვის სისტემის განვითარება. ამის ნათელი დადასტურებაა ქალაქ ქუთაისში "ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის" გახსნა, რომელიც ავსტრიელი კოლეგების უშუალო მონაწილეობით გაკეთდა.პროფესორმა გერჰარდმა თსსუ პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრაზე დაადასტურა ევროპის სამედიცინო განათლების სისტემაში არსებული ის თანამედროვე ტენდენციები, რაც სამედიცინო უნივერსიტეტების ცალკე ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნას გულისხმობს, როგორც ეფექტურ მოდელს მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივით, სწავლებისა და სწავლის ხარისხის სრულყოფის თვალსაზრისით.

აქტიურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის კულტურული ცხოვრება: ტარდება სტუდენტთა შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან; ცოტა ხნის წინათ, უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო ფესტივალ "ჩვენებურებს". უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი წარმატებით გამოვიდა ევროპულ სცენებზე; ინტენსიურად მუშაობს კულტურის ცენტრი; აღდგა საფეხბურთო გუნდი. საუნივერსიტეტო კულტურული ცენტრი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს "ვარდების რევოლუციისადმი" მიძღვნილ ღონისძიებებში.

სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის შედეგად მიმდინარე წელს თსსუ-ში 200-მდე პედაგოგმა ვეღარ გააგრძელა აკადემიური საქმიანობა სასწავლო ჯგუფებში. რეალურად გამოთავისუფლდა 260000 ათასი ლარი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. შემდგომი რეფორმირება მჭიდროდ უკავშირდება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და იმ საკონკურსო მოთხოვნებს, რომელთა ჩატარების დეტალური გრაფიკი უკვე შედგენილია. სავარაუდოდ, ოპტიმიზებული სასწავლო პროგრამების რეალურ შესრულებას კიდევ 150-მდე პედაგოგით ნაკლები დასჭირდება. მაქსიმალურად ზუსტი კრიტერიუმებით და მეთოდოლოგიით მოხდება მათი შერჩევა, ვინც მომავალში ასწავლის სტუდენტებს.

რექტორის მოვალეობის შემსრულების, პროფ. ალ.თელიას ინიციატივით,ახლებული მიდგომები ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის კლინიკურ ბაზებთან მიმართებაში, რაც სამედიცინო განათლების აუცილებელი ატრიბუტია. უნივერსიტეტის სტრატეგია გულისხმობს განათლების საწყის ეტაპებზე სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რისთვისაც გამოყენებული იქნება თბილისში არსებული ყველა თანამედროვე კლინიკური ბაზა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები მონაწილეობას იღებენ წამყვან დასავლურ უნივერსიტეტებთან თუ სამეცნიერო ცენტრებთან გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი ბურკაძის ხელმძღვანელობით შესრულებულმა სამეცნიერო პროექტმა წარმატებით გაიარა INTAS-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის ეტაპი. ბერნის კარდიოვასკულარულ კლინიკაში მკვლევარად მიწვეულია ჩვენი ახალკურსდამთავრებული ვახტანგ ჭანჭალეიშვილი, ხოლო სტომატოლოგიური ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ანი მაისურაძე ერთადერთი წარმომადგენელი იყო პოსტსაბჭოთა სივრციდან პარიზის ციტოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე და სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

განათლების სისტემის რადიკალური ცვლილება ურთულესი საქმეა. მიზანი კი ერთია - ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის სრული რეფორმირება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მისიის შესრულება ჩვენი ღირსების საქმეა. ცნობილია, რომ შეცდომები არ მოსდის იმ ქირურგს, ვინც ოპერაციას არ აკეთებს. არც ჩვენ ვართ დაზღვეული შეცდომებისაგან...

გვჯერა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მალე გახდება თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მქონე, აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სასწავლო და კლინიკური საქმიანობით, მეცნიერული აქტივობით, ღირსეულ ადგილს დაიჭერს ევროპის მოწინავე უნივერსიტეტთა შორის.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძირიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

მორიგი რუსულ-ქართული სკანდალი უცნაური გაგრძელებებით

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში კიდევ ერთი სკანდალი მოხდა. იმის გამო, რომ რუსულმა მხარემ პარლამენტარ გივი თარგამაძეზე ვიზა დაგვიანებით გასცა, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ (ნინო ბურჯანაძე, კოტე გაბაშვილი, პეტრე მეტრეველი, გივი თარგამაძე), პროტესტის ნიშნად, უარი თქვა სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებაზე, სადაც 18-19 ნოემბერს დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეთა სამიტი უნდა ჩატარდეს.

გიორგი ასანიშვილი

გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ მომხდარ ფაქტს "უპრეცედენტო" უწოდა და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეზე ვიზის არგაცემა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს "მწვავე და სერიოზული შეურაცხყოფაა." პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გივი თარგამაძის მიმართ რაიმე პრეტენზია გააჩნდა, რუსეთს, როგორც დსთ-ს ერთ-ერთ წევრ-სახელმწიფოს, უფლება არ ჰქონდა ხელი შეეშალა საქართველოს დელეგაციისთვის იმაში, რომ მას საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიეღო.

"თუ დსთ რუსეთის ადეკვატურია, სასურველია, რომ ეს ჩვენც ვიცოდეთ," - ირონიით შენიშნავს ბურჯანაძე. იგი "ციხიზმის საოცარ გამოვლინებად" მოიხსენიებს იმას, რომ რუსულმა მხარემ გივი თარგამაძისთვის ვიზის გაცემაზე მხოლოდ მაშინ განაცხადა თანხმობა, როდესაც თვითმფრინავი, რომლითაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სანკტ-პეტერბურგში უნდა გამგზავრებულიყო, უკვე ჰაერში იყო.

ნინო ბურჯანაძე შეახსენებს ოფიციალურ მოსკოვს, რომ ცივილიზებული სახელმწიფოები ანალოგიურ შემთხვევებში სხვაგვარად იქცევიან. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ამერიკის მაგალითი, რომელიც იმის მიუხედავად, თუ როგორ ურთიერთობაში იმყოფება ამა თუ იმ ქვეყანასთან, გაერო-ს მუშაობაში მონაწილეებს სავიზო პრობლემებს არასდროს უქმნის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების სპიკერებს მოუწოდებს, რომ დაგმონ ის ნაბიჯი, რომელმაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებაში ხელი შეუშალა. თუმცა, როგორც ჩანს, ამისი თავადაც ნაკლებად სჯერა, რადგან კარგად ახსოვს, რომ **"რამდენიმე წლის წინათ, როდესაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორია იბომბებოდა, დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეებს ერთხელაც არ ამოუღიათ ხმა."**

გუშინდელ ბრიფინგზე გამოითქვა ვარაუდი "შავი სიის" არსებობის შესახებ, რომლითაც რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ქართველი პოლიტიკოსების რუსეთის ტერიტორიაზე შეშვება-არშეშვებისას "ხელმძღვანელობს."

"თუ რუსეთის ხელისუფლებას მართლა აქვს ქართველი პოლიტიკოსების "შავი სია", მაშინ ჩვენც ანალოგიურ ზომებს მივიღებთ და ძალიან ბევრი ადამიანი ვიზას ვერ მიიღებს," - იმუქრება ნინო ბურჯანაძე. აღნიშნული სკანდალის ნამდვილ მიზეზს საქართველოს პარლამენტის სპიკერი სხვაგან ხედავს: **"რუსეთის მხარეს ეშინია, რომ სამიტზე საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სიმართლეს იტყვის იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს მოსკოვი ე.წ "სამშვიდობო ოპერაციებში."**

სკანდალის მთავარი გმირი, გივი თარგამაძეც "შავი სიის" შესახებ საუბრობს. **"მაქვს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ "შავ სიაში" რუსეთის მიმართ ჩემი გამონათქვამების გამო შევდივარ. ამ გამონათქვამებისთვის პასუხს ვაგებ. მზად ვარ, ისინი ახლაც გავიმეორო, რადგან არ ვთვლი, რომ ისინი რუსეთის სახელმწიფოს შეურაცხყოფენ,"** - აცხადებს თარგამაძე, რომელიც მთელ ამ ისტორიაში ყველაფერზე მეტად იმით არის გაკვირვებული, რომ მისმა "დუმელმა" კოლეგამ ოზეროვმა მოსაწვევი გამოუგზავნა, დიპლომატიურმა უწყებამ კი ვიზის მიცემაზე უარი განუცხადა.

მართალია, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სანკტ-პეტერბურგში არ წავიდა, მაგრამ სამიტის დროს ჩვენი დელეგაციისთვის განკუთვნილი სავარძლები ცარიელი მაინც არ იქნება. მას დაიკავებენ საქართველოს პარლამენტის... თანამშრომლები, რომლებიც კოტე გაბაშვილის თქმით, ოფიციალური თბილისის პოზიციას გაახმოვანებენ...

ცოტა უცნაურია, როდესაც საპარლამენტო დელეგაციის წევრები თბილისში დარჩენას ამჯობინებენ და პრეტენზიებს თავიანთ კოლეგებთან კი არა, ადგილობრივ ჟურნალისტებთან გამოთქვამენ, თავიანთი ფუნქციების შესრულებას კი გაურკვეველი სტატუსის მქონე ჩინოვნიკებს აკისრებენ.

ქართული მხარე კვლავ ფორმატის შეცვლას ითხოვს

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუმცა შემდეგ, რუსი დიპლომატის თქმით, "თანათავმჯდომარეები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, უფრო მშვიდ ვითარებაში გააგრძელებინათ განხილვა."

როგორც ვალერი კენიაკინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთის მხარე აუცილებლად მიიჩნევს უმაღლესი დონის სამმხრივი შეხვედრის ჩატარებას. მისი შეფასებით, ლუბლიანაში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა "ძალზე დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს", "ხდება მხარეთა პოზიციების გამკაცრება, რაც შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღწევას პრობლემატურს ხდის."

ამ პირობებში, რუსეთის დელეგაციამ შერეული საკონტროლო კომისიის წევრებს შესთავაზა, "მიმართონ რუსეთის და საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელებს, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მეთაურებს წინადადებით, პრინციპული საკითხების განსახილველად გამართონ შეხვედრა, რომელიც მოლაპარაკების პროცესს ახალ პოლიტიკურ იმპულსს მიანიჭებდა," - განაცხადა კენიაკინმა.

რუსულ მხარეს მიაჩნია, რომ სასურველია, ამგვარი შეხვედრა უახლოეს ხანებში სოჭში ჩატარდეს.

დიპლომატის თქმით, რუსული მხარის წინადადებას სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის დელეგაციებმა დაუჭირეს მხარი, გარდა ამისა, მას "გაგებით" შეხვდნენ ეუთო-ს წარმომადგენლები. "თუმცა, საქართველოს მხრიდან დაფიქსირდა ნეგატიური რეაქცია," - განაცხადა ელჩმა. მისივე თქმით, ამჟამად რუსული მხარე მუშაობას განაგრძობს და "გამოჩნდება, როგორი იქნება ამ ინიციატივისადმი ქართული მხარის დემოკიდებულება."

გუშინვე ლუბლიანაში მიმდინარე მოვლენებს ედუარდ კოკოითიც გამოეხმაურა.

მისი თქმით, სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვა დღის წესრიგში აღარ უნდა დადგეს. "ოსმა ხალხმა რეფერენდუმის გზით ამის შესახებ არრევანი უკვე გააკეთა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვა დღის წესრიგში აღარ უნდა დადგეს," - განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ოსური მხარე მოლაპარაკებების არსებული ფორმატის გაგრძელების მომხრეა.

კოკოითის განცხადებით, ლუბლიანას შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებების ფონზე, ოსური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ფორმატის შეცვლას.

მისივე განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესის ერთადერთი გარანტი რუსული სამშვიდობო ძალებია.

24 საათი

მინიშნება ფინანსთა სამინისტროს

პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის მიერ ბოლო პლენარულ სხდომაზე გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს 2006 წლის დაფინანსების გაზრდაზე უარი უთხრა. ამიტომ გუშინ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობამ სამინისტროს კიდევ ერთხელ მიანიშნა, როგორ უნდა მოიქცეს.

ნანა ქადაგიშვილი

ფინანსთა სამინისტრო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის 2006 წლის ბიუჯეტიდან 31 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს, დეპარტამენტი კი 70 მილიონს ითხოვს. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე აცხადებს, სამინისტროს მიერ შეთავაზებული თანხა ხელფასებზე ძლივს გაწვდებათ, საზღვრის დაცვის სისტემაში კი ძირეული რეფორმაა ჩასატარებელი. ეს აზრი პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბოლო პლენარულ სხდომაზეც გაახმოვანა. **"31 მილიონი ლარიდან 29 მილიონი ხელფასებს ხმარდება, სისტემის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად კი მხოლოდ 3 მილიონი ლარიღა რჩება,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. საპარლამენტო უმრავლესობის ერთერთმა ლიდერმა, დავით კირკიტაძემ კი საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის დაფინანსების გაზრდის საკითხის მოგვარება საკუთარ თავზე აიღო. თუმცა, აღნიშნულმა განცხადებებმა ფინანსთა სამინისტროს პოზიცია ვერ შეაცვლევინა და საპარლამენტო უმრავლესობა იძულებული გახდა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრისთვის გარკვეული მინიშნება მიეცა. **"ჩვენი თხოვნა იქნება, შესაბამის უწყებებთან ერთად, კიდევ ერთხელ განიხილოთ დეპარტამენტის დაფინანსების გაზრდის საკითხი. ვფიქრობ, ამისი რესურსი არის და პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის შეჯერებული ვარიანტი წარმოადგინეთ,"** - ურჩია კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ფინანსთა მინისტრს, ლექსო ალექსიშვილს.

როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე აცხადებს, საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემის სრულფასოვან რეფორმას 70 მილიონი ლარი სჭირდება. **"დღეს საქართველოს საზღვრებს მამა-პაპური მეთოდებით ვიცავთ. ჩვენი მესაზღვრეების საუკეთესო აღჭურვილობა ბინოკლი და რაციებია, და ესეც არ აქვთ საკმარისად. საქართველო-რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებზე ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ არსებობს. საზღვრებზე არსებული არც ერთი შენობა ბიუჯეტის სახსრებით არ შეკეთებულა. თუკი რამე კეთდება, უცხოელი მეგობრების დახმარებით. ასეთ მდგომარეობაში მყოფი სისტემის განვითარებისთვის 70 მილიონი ლარი ზედმეტი ნამდვილად არ არის,"** - აცხადებს ბიწაძე და ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტს საზღვრის დაცვის სისტემის განვითარების 3-5-წლიან გეგმებს აცნობს. დეპარტამენტის შემადგენლობის 3 500 ადამიანით შემცირება და დარჩენილების ხელფასების გაზრდა, პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება, საზღვრებისა და მესაზღვრეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, სანაპირო დაცვის სამსახურის გაძლიერება და მესაზღვრეთა საკონტრაქტო წესით აყვანა - დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გათვლებით, ეს ყველაფერი სახელმწიფო ბიუჯეტს 70 მილიონზე ნაკლები ვერ დაუჯდება. **"სლოვენიამ საზღვრის დაცვის სისტემის რეფორმაზე 300 მილიონი ევრო დახარჯა,"** - უცხო ქვეყნის მაგალითს იშველიებს ბიწაძე.

ბიწაძის განცხადებით, საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემის სრულფასოვან რეფორმას 70 მილიონი ლარი სჭირდება.

ფოტო ელენე ფოცხიშვილის

ფინანსთა სამინისტრო კი კონტრარგუმენტად უცხო ქვეყნების მიერ საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემის განვითარებისათვის დახარჯულ მილიონებს იყენებს. **"მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 1998 წლიდან დღემდე, ჩვენი საზღვრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვაზე 127 მილიონი დოლარი დახარჯა. წელს 15 მილიონი დოლარი გამოიყო. სად წავიდა ეს ფული? ამის გარდა, გასარკვევია, საბიუჯეტო რესურსები რამდენად ეფექტურად იხარჯება. დეპარტამენტის შემადგენლობის შემცირების მიუხედავად, დამხმარე მოსამსახურეთა რაოდენობა მაინც ზედმეტია,"** - აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

აღნიშნული განმარტებების მიუხედავად, ალექსიშვილს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2006 წლის ბიუჯეტის გადახედვა, ალბათ, მაინც მოუწევს. და არა მხოლოდ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის მომავალი წლის ბიუჯეტიც დაუწუნა. **"ამ უწყების ხელმძღვანელის ანაზღაურება ფინანსთა სამინისტროს კონსულტანტის ხელფასსაც კი ვერ უტოლდება,"** - უსაყვედურა გუშინდელ სხდომაზე დავით კირკიტაძემ ფინანსთა მინისტრს. სამინისტრო დეპარტამენტისთვის 24 მილიონი ლარის გამოყოფას გეგმავს, დეპარტამენტი კი 30 მილიონს ითხოვს. **"მომზადებული კადრები სამსახურიდან გაგვირბის, რადგან დაცვის თანამშრომლის ხელფასი 75 ლარს არ აღემატება, ხელმძღვანელობის ხელფასი კი - 300 ლარს,"** - აცხადებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი ოთარ ქველაძე.

საქართველოს საგარეო უწყება რუსი კოლეგებისაგან განმარტებას ელოდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი თარგამაძისათვის ვიზის გაუცემლობას აპროტესტებს და რუსი კოლეგებისაგან მომხდართან დაკავშირებით ოფიციალურ განმარტებას ელოდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პარლამენტარ გივი თარგამაძისთვის რუსეთის ვიზის გაუცემლობას "პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებად" აფასებს.

მისივე განმარტებით, ქართულ მხარეს "გული სწყდება იმის გამო, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მიეცა." მაგრამ იქვე დასძენს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღეისათვის არა აქვს რუსეთის პოლიტიკოსების ე.წ. შავი სია, რომელიც ქვეყანაში ჩაუსვლელობას ითვალისწინებს," ქართული მხარე მომხდარის შემდეგ "საპასუხო ნაბიჯებს აუცილებლად გადადგამს."

ანთაძის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც გუშინწინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საგარეო უწყებას მიაწოდა ზეპირი ინფორმაცია ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის ე.წ. "შავ სიაში" მოხვედრის შესახებ, ქართულმა მხარემ რუსულს ოფიციალური ნოტით მიმართა და განმარტება მოითხოვა.

მისივე თქმით, დღეს რუსეთის საგარეო უწყებამ გივი თარგამაძეზე ვიზის გაცემის ნებართვის შესახებ ქართულ მხარეს 14 საათზე და 55 წუთზე აცნობა, მაშინ, როცა თვითმფრინავი, რომლითაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სანკტ-პეტერბურგში უნდა გამგზავრებულიყო, ჰაერში იმყოფებოდა.

ანთაძის შეფასებით, რუსული მხარის მოქმედება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოწესრიგებას ხელს არ უწყობს. მომხდართან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო უწყება საქართველოში რუსეთის ელჩის გამოძახებასაც არ გამორიცხავს, მაგრამ ქართველი დეპუტატისათვის ვიზის გაუცემლობის ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო უწყებისაგან ოფიციალურ განმარტებას ელოდება.

ინტერპრესნიუსი

ფოთელი "მემარჯვენეები" "ძველი თემით" ნავსადგურის პარალიზებას აპირებენ

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

ქალაქის ხელისუფლებამ მიმდინარე წლის ივნისში შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურს" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 420 ჰექტარი მიწა გადასცა. გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგე ბევრი გამოუჩნდა. ოპონენტთა აზრით, მიწის სანაცვლოდ ნავსადგურს ქალაქის მრავალი პრობლემიდან ერთ-ერთის მოგვარება მაინც უნდა ეკისრა. საკამათო გახდა ფოთის მერის, ივანე საღინაძის განცხადებაც, რომლის თანახმად ადგილობრივი ბიუჯეტი მოგვიანებით, მიწისა და სხვა გადასახადების გადახდით, პორტიდან სოლიდურ შემოსავლებს მიიღებდა.

დღეს უკვე დღის წესრიგში 420 ჰექტარიდან 140-ის ისევ ქალაქის საკუთრებაში დაბრუნებისა და მისი თურქული კომპანია "GUNAY"-სთვის გადაცემის საკითხი დგება, რისი რატიფიცირებაც ფოთში 18 ნოემბერს დაგეგმილი პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტისას უნდა განხორციელდეს.

ჯერ კიდევ აგვისტოში, "ახალი მემარჯვენეების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ინიციატივით, 420 ჰექტარი მიწის ფართობის ნავსადგურისთვის უსასყიდლოდ გადაცემის საწინააღმდეგო ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. 15 ნოემბერს ორგანიზაციის თავმჯდომარემ ირაკლი კაკუტიას საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 10 000 ხელმოწერა გადაიგზავნა პარტიის ცენტრალურ ოფისში. პარლამენტის პლენარული სხდომის გადაწყვეტილებით კი, საკითხი ამ დღეებში, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე განიხილება.

მიწების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას კაკულია უგუნურსა და არაპროფესიონალურს უწოდებს. "ახალი მემარჯვენეები" ფოთში აქციების გამართვას გეგმავენ. მათი გათვლით, საპროტესტო ღონისძიებების მასშტაბები სხვა ოპოზიციური პარტიებისა და გურია-სამეგრელოს რეგიონების მაცხოვრებელთა მხარდაჭერით გაიზრდება.

"ჩვენ არ მივცემთ ნავსადგურს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას. როცა პორტში მუშაობა გაჩერდება, "ცენტრიც" მოახდენს რეაგირებას, საქართველოს ხელისუფლება პრობლემებით ხომ მხოლოდ მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ინტერესდება," - განაცხადა "ახალი მემარჯვენეების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ.

აქციები, სავარაუდოდ, საკითხის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე განხილვის შემდეგ გაიმართება.

ფოთის მერი ივანე საღინაძე მიწების გადაცემის თემას მოძველებულს უწოდებს. **"მიწის ფართობის გარეშე არც ერთი ინვესტორი არ დაინტერესდებოდა. აქვე ქალაქის ინტერესებიც გამოკვეთილია, რადგან სწორედ ამ თავისუფალი და გამოუყენებელი მიწიდან, სამუშაოების დაწყების შემდეგ, ბიუჯეტი მიწისა და საიჯარო გადასახადით სოლიდურად შეივსება. გარდა ამისა, 140 ჰექტარ ფართობზე თურქულ კომპანია "GUNAY"-ს სურს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ისინი 500-700 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით ინვესტიციის დაბანდებასა და 2 ათასამდე კაცის დასაქმებას გეგმავენ. ვფიქრობ, ეს ნამდვილად არ არის ცუდი საქმე,"** - განაცხადა ფოთის მერმა.

"სახალხო ფორუმი" რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერის შეგროვებას იწყებს

მოძრაობა "სახალხო ფორუმი", ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელობის პირდაპირი არჩევითობის მოთხოვნით, რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვებას გეგმავს. ხელმოწერები მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვდება.

ნათია მსხილაძე

როგორც მოძრაობის ლიდერმა აკაკი ასათიანმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, ოპოზიციური პარტიების მიერ შექმნილ საინიციატივო ჯგუფს, რეფერენდუმის ჩატარების მიზნით ხელმოწერების შესაგროვებლად ნებართვა რომ მიეღო, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორჯერ მიმართა. **"მაგრამ ცესკო-მ საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა არც ერთხელ არ დააკმაყოფილა, რასაც საფუძვლად რეფერენდუმის კითხვის გაურკვევლობა დაედო,"** - განაცხადა ასათიანმა.

ერთი თვის წინათ "სახალხო ფორუმის" წარმომადგენლებმა ცესკო-ს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს, სასამართლომ კი ცესკო-ს საკითხის ხელახლა განხილვა დაავალა. თავის მხრივ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. როგორც ცესკო-ში აცხადებენ, გადაწყვეტილებას სასამართლოს განაჩენის მიხედვით მიიღებენ.

საინიციატივო ჯგუფის მტკიცებით, ისინი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებენ და ხელმოწერებს საქართველოს პარლამენტს წარუდგენენ. ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოძრაობა "სახალხო ფორუმი" მოლაპარაკებებს სხვა ოპოზიციურ პარტიებთანაც აწარმოებს. **"რევოლუციის ორი წლისთავის აღნიშვნას ვაცლით. შემდეგ კი, მთელი საქართველოს მასშტაბით, ხელმოწერების შეგროვებას დავიწყებთ. 30 000 ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში, საკანონმდებლო ინიციატივით მივმართავთ პარლამენტს, რათა მან მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის საკითხი განიხილოს. ხელისუფლებას დავუმტკიცებთ, რომ მერი და გამგებელი ხალხმა უნდა აირჩიოს და ხალხს ამის უფლება და საშუალება ჯერ კიდევ აქვს,"** - განაცხადა აკაკი ასათიანმა.

"უცნობი თავისუფლება"

გადაცემის სტუმარია პოლიტოლოგი გია ნოდია

ალექსანდრე ელისაშვილი: მალე აღვნიშნავთ რევოლუციის მეორე წლისთავს. ასევე ვიცით, რომ ათასობით ლარი მთელი საქართველოს მასშტაბით დაიხარჯება კონცერტებზე და საზეიმო ღონისძიებებზე...

გია ნოდია: ეს ამ ხელისუფლებას საერთოდ ახასიათებს - მასობრივ პიარზე მუშაობა. მას აქვს ეს კონცეფცია, რომ ყველა დრო ერთგვარად წინასაარჩევნოა და მუდმივად უნდა იმუშაო საზოგადოებაზე. თავისთავად კარგია ის, რომ ეს წლისთავები გამოვიყენოთ დასაფიქრებლად, განვლილი პერიოდის შესაჯამებლად... ასეთი ზედმეტი მოზეიმეობა კი ერთგვარ გაღიზიანებას იწვევს.

ა. ე.: სამართლიანია თუ არა ეს გაღიზიანება?

გ. ნ.: ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელდობრ რა იქნება. ანუ თავისთავად, რაღაც ვიზეიმოთ, ცუდი არ არის. მაგრამ, ამ ხელისუფლებას ასეთი მასობრივი აქციებისადმი ზედმეტი მიდრეკილება აქვს. ერთგვარად ზომიერების გრძნობა ღალატობს.

ა. ე.: გუშინ ხელისუფლებამ გაავრცელა ბროშურა, სადაც ორი წლის მანძილზე ხელისუფლების მიერ მიღწეულ წარმატებებზეა საუბარი. თექვსმეტ პუნქტად არის ეს ყველაფერი ჩამოთვლილი: აჭარა, პატრული, ფასადები, გზები და ა. შ. მაგრამ ზედმეტი ხომ არ არის დღენიადაგ ამის თქმა - აი, ჩვენ ეს გავაკეთეთ, ის გავაკეთეთ? თქვენ როგორ აფასებთ?

გ. ნ.: აქ მთავარია ზომიერება. იმაში, რომ ხელისუფლება ორი წლის საქმიანობის შედეგებს აჯამებდეს და ავრცელებდეს, ცუდს არაფერს ვხედავ. ამაში არ არის ძირითადი პრობლემა. ძირითადი პრობლემაა - ხელისუფლება თვლის, რომ მასას ეს მოსწონს და მასაზე ეს მოქმედებს. ჩემი აზრით, ეს გადაჭარბებული შეფასებაა. რადგან გარკვეული ზომის შემდეგ ეს გაღიზიანებას იწვევს. რაც შეეხება იმას, თუ მე როგორ ვაფასებ ამ ხელისუფლების მოღვაწეობას. ალბათ, როგორც საზოგადოების უმრავლესობა, არა ცალსახად. ძალიან ბევრი აღიარებს, რომ რაღაც გაკეთდა, და საკმაოდ მნიშვნელოვანი რაღაცებიც. რიგ საკითხებში გარდატეხა მოხდა, მაგრამ, ამავე დროს, არის დიდი იმედგაცრუებაც. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან პოზიტიურად შევხედე რევოლუციის ფაქტს, მაგრამ არასდროს არ მქონდა იმის იმედი, რომ ეს ხელისუფლება სასწაულს გააკეთებდა. თუმცა, თუ ჩემს მოლოდინებს ავიღებთ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, თუნდაც 2003 წლის სექტემბერში, იმასთან შედარებით მე ვერ ვიტყოდი, რომ იმედგაცრუებული ვარ. ანუ ვერ ვიტყოდი, რომ ამ ხელისუფლებისგან მეტს ველოდი. იმიტომ, რომ მე ვიცოდი, მათი რესურსები ძალიან შეზღუდულია.

ა. ე.: მოდით, სამი მთავარი წუნი გამოვყოთ. რას დაუწუნებს გია ნოდია ამ ხელისუფლებას?

გ. ნ.: ერთი არის დემოკრატიის დეფიციტი, რაც საკმაოდ აშკარაა, და რაზეც ხელისუფლება, თუნდაც პირად საუბრებში, აშკარად ვერ ამბობს, რომ ეს ასე არ არის. და მეორე - ინსტიტუციონალიზაციის დეფიციტი. ანუ ის 16 წარმატება, რომელიც იქნა მიღწეული, მათი უდიდესი ნაწილი არის თვითონ მიხეილ სააკაშვილის გარშემო მყოფი საკმაოდ ვიწრო წრის, რამდენიმე ადამიანის ნებელობის შედეგი. მიღწევები არის რეალური, მაგრამ ეს მიღწევები არის დიდი მონდომების და ბრძოლის შედეგი. თუმცა, ბუნებრივია ეჭვი - რამდენად მდგრადია ეს მიღწევები. რამდენად შექმნა ხელისუფლებამ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენ ისევ უკან არ დავბრუნდებით? ვთქვათ, ძალიან დიდი მიღწევაა ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შენატანები ძალიან გაიზარდა. მაგრამ რის ხარჯზეა ეს მიღწეული, და რამდენად მდგრადია ეს მიღწევა? რომ არ იყოს ეს მუდმივი ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან... თანაც, ბიზნესმენების აზრით, ხშირად ამ ზეწოლის მეთოდები ცუდია საქართველოში ბიზნესის განვითარებისთვის... რამდენად შენარჩუნდება ეს მიღწევები, თუ ხელისუფლებამ ბიზნესზე მუდმივი ზეწოლა არ განახორციელა? ეს არის პრობლემა. ანუ რამდენად დიდია ხელისუფლების საკადრო და ორგანიზაციული რესურსი, რომ ეს მიღწევები მდგრადი და თანმიმდევრული გახდეს?

Kuzanov Clinic
INN
კუზანოვის კლინიკა
1. ლაზერული უპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, ჰემანგიომების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმაბრაზია
5. ქიმიური ფილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. წარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია
თქვენი არჩევანი - ჩვენი პაროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-006, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

სტუმრად

მაია ჭალაგანიძესთან

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ყოველდღიურად არ იცვლება

ლეშეკ ბალცეროვიჩი 1947 წელს, პოლონეთის ქალაქ ლიპნოში დაიბადა. დაამთავრა ვარშავის დაგეგმვისა და სტატისტიკის ცენტრალური სკოლის (ამჟამად ვარშავის ეკონომიკის სკოლა) საგარეო ვაჭრობის ფაკულტეტი. ნიუ-იორკის სენტ ჯონის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირებაში მაგისტრის ხარისხი, ხოლო ეკონომიკაში დოქტორის ხარისხი მიენიჭა. იგი ასევე სწავლობდა სასექსის და მარბურგის უნივერსიტეტებში. მუშაობდა ვარშავაში არსებული სოციალური და ეკონომიკური გამოკვლევების ცენტრის ხელმძღვანელად. არის ვარშავის ეკონომიკური სკოლის პროფესორი. 1989 წლის სექტემბრიდან 1991 წლის დეკემბრამდე და 1997 წლიდან 2000 წლის ივნისამდე იყო პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ფინანსთა მინისტრი და მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური კომიტეტის პრეზიდენტი. 1995 წლის აპრილიდან 2000 წლის დეკემბრამდე - თავისუფლების კავშირის პრეზიდენტი, ხოლო 2001 წლის იანვარში პოლონეთის რესპუბლიკის სეიმმა ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშნა. აქვს მრავალი სამეცნიერო რეგალია და არის მრავალი პრემიის მფლობელი.

პირველი გვერდიდან

- თბილისში ჩემი კოლეგის, რომან გოცირიძის მოწვევით ვიმყოფები. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ვნახო, როგორ გარდაიქმნა საქართველო.

- დიახ, ქალაქი ნათელი და ფერადია და არის ამაში რაღაც პოლიტიკურიც. ფასადები ეკონომიკაშიც მნიშვნელოვანია?

- რამდენიმე წლის წინ ყველაფერი მუქ ფერებში იყო. კარგი გზები და ელექტროენერგია ფასადი არ არის, ეს ფუნდამენტია, რადგან ადამიანებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მუდმივად იყოს ელექტროენერგია და უკეთესი გზები. ეს მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვისაც. უკეთესი გზები კი ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა.

- პოლონეთში რამდენიმე თვის წინ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. რას იტყვის პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, როგორია ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯები?

- ამაზე კონკრეტული საუბარი ახლა ადრეა და არ მინდა პოლონეთის შესახებ პოლიტიკური კომენტარების ანგაჟირება.

- გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ საქართველოს საგადასახადო სისტემა მოგეწონათ. ქართველ მსხვილ ბიზნესმენებსა და მით უფრო, წვრილ ბიზნესს ამ სისტემასთან ბევრი პრეტენზია აქვთ...

- მე ვთქვი, რომ სწრაფი ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა ნატურალურ პროდუქტზე დაბალი საგადასახადო წილია. დეტალებზე არ მისაუბრია, რადგან დეტალებს არ ვიცნობ. 5 წლის წინ ორი მთავარი რეკომენდაცია გადასახადების რაოდენობის შემცირება და ფიქსირებული გადასახადის შემოღება გახლდათ. ეს ორივე გაკეთდა.

- კორუფციასთან ბრძოლის საბაბით ჩვენს მინისტრებს აქაურობისთვის საკმაოდ მაღალი, თუმცა ევროპულ სტანდარტზე გაცილებით დაბალი ხელფასი აქვთ.

- მეც ევროპულ სტანდარტზე დაბალი ხელფასი მაქვს. რადგან ჩვენ ევროპაზე ბევრად ღარიბები ვართ. ჩვენ რომ შევიცარია ვიყოთ, შემოსავლებიც ბევრად მაღალი იქნებოდა. მაგრამ, შვეიცარიის დონეს რომ მივაღწიოთ, ამისთვის უამრავი რეფორმებია საჭირო და შემოსავლებიც გაიზრდება.

- რეფორმირება რთული პროცესია. ბევრ ქვეყანაში და ჩვენთანაც ამ რეფორმებს აგრესიული ელფერი დაკრავს, რაც უბრალო ობივატელისთვის მძიმე და გაუგებარია. თქვენი "შოკური თერაპია" და ამგვარი რეფორმირება ერთმანეთთან ახლოს დგას?

- "აგრესიულობა", შეიძლება, არცთუ კარგად შერჩეული სიტყვაა. აგრესია ყოველთვის უარყოფით ემოციებს იწვევს. უკეთესი იქნებოდა, გვეთქვა - სწრაფი ტემპებით რეფორმირება. დიახ, პრობლემები არსებობს, მაგრამ სჯობს, ეს პრობლემები სწრაფად გადავჭრათ და არა ნელა. რეფორმები კი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაა. არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ისე, რომ თუნდაც საუკეთესო რეფორმებით ყველა კმაყოფილი ყოფილიყო. ეს შეუძლებელია, რადგან შედეგებს ყველა ვერ ჭვრეტს. რეფორმების ზოგიერთი ასპექტი ადამიანებისთვის მართლაც მტკივნეულია. მთავარი მაინც ის არის, რომ რეფორმების გარეშე ეკონომიკური ვითარება გაუარესდება და ამით აბსოლუტურად ყველა იქნება უკმაყოფილო. რეფორმების გატარების პროცესში უკმაყოფილება ნორმალური პროცესია, მაგრამ თუ ეს რეფორმა წარმატებული არ იქნება, პერსპექტივაში გაცილებით მეტი ადამიანი იქნება უკმაყოფილო. ასე რომ, უმჯობესია გატარდეს რეფორმები, რადგან ამის გარეშე 2-3 წლის შემდეგ უზარმაზარი უკმაყოფილება გარანტირებულია.

- რას იტყვით საქართველოს ახლანდელი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე?

- ყველა ანალიზი, რაც წამიკითხავს მსოფლიო ბანკის თუ სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა, ამყარებენ იმ რეკომენდაციებს, რომელიც, ჩემი აზრით, წაადგება ეკონომიკურ ზრდას და რომელიც მე ადრე გავუწიე საქართველოს მთავრობას. შემიძლია ვთქვა, რომ მცირდება კორუფცია, ჩანს დერეგულაცია, გადასახადები მარტივდება - ეს არის პროფესიული ინსტიტუციების კომპეტენტური აზრი. ეს ცვლილებები ჩემი რეკომენდაციების თანახმად მიმდინარეობს.

- საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში ხელისუფლება ზოგიერთი მომგებიანი საწარმოს საკონტროლო პაკეტს თმობს. მაგალითად, ოქროს მოპოვება, მადნეული, ზესტაფონის ფერო, ფოთის პორტი. იქნებ არის საქართველოში იმის რესურსი, რომ თავად ვიყოთ პატრონი და განმკარგველი იმ მოგებისა, რისი მოტანაც ამ საწარმოებს შეუძლიათ?

- არა მგონია, რომ მეტალურგია, ან ზესტაფონის ფერო მომგებიანი იყოს. მეორე მხრივ, რას ნიშნავს, იყო პატრონი? თუ გულისმობთ სახელმწიფო საკუთრებას, ეს არის პოლიტიკის გავლენა საწარმოზე. პრივატიზაცია გულისხმობს ახალ მესაკუთრეთა გამოჩენას, რომელნიც საწარმოს ბედს წყვეტენ. ეს არის პრივატიზაციის ძირი და ძირი - საკონტროლო პაკეტი. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო საკუთრება ვერ შენარჩუნდება.

- როგორ უყურებენ პოლონეთში რუსული კაპიტალის შემოსვლას და იქ არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, რას იტყვით საქართველოში და კერძოდ, ენერგეტიკულ სექტორში რუსული კაპიტალის შემოსვლაზე? ძალიან ხშირად რუსეთს ეს სფერო საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლისთვის გამოუყენებია.

- პოლონეთში რუსული კაპიტალის შემოსავლის გამო ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს შორის დღემდე მიმდინარეობს დისკუსიები. არის სხვადასხვა მოსაზრება - ერთნი ამტკიცებენ, რომ რუსული კაპიტალის შემოსვლა პოტენციური კავშირია ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის. ჩემი აზრით, ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა იყოს განხილული, რადგან ამ საკითხის ზოგადად გადაწყვეტა პრობლემებს ვერ მოხსნის.

- რა გამოცდილება აქვს პოლონეთს სოციალური სამართლიანობის აღდგენის სფეროში? როგორ ებრძვის პოლონეთი მდიდრებსა და უკიდურესად ღატაკებს შორის განსხვავებას, რაც საქართველოში დღეს ძალიან აქტუალურია?

- კონკურენტული საბაზრო ეკონომიკა, ეს არის გზა. ხალხს უნდა შეეძლოს ბიუროკრატიასთან ბრძოლა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ იქ, სადაც ეკონომიკაზე პოლიტიკური კონტროლია, სოციალური განსხვავება გაცილებით დიდია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა. მაგალითად, რუსეთსა და უკრაინაში ეს განსხვავება ორჯერ დიდია, ვიდრე პოლონეთში. ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მომენტი ის არის, რომ რეფორმები არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ იმისთვისაც, რასაც თქვენ სოციალური სამართლიანობა უწოდეთ.

- როგორ უნდა ებრძოლოს ეფექტურად ჩვენი ქვეყანა კონტრაბანდას მაშინ, როცა ტერიტორიაზე აქვს ორი სეპარატისტული რეჟიმი და უკონტროლო საზღვრები?

- ეს იმაზე მეტყველებს, რომ აქ სიტუაცია რთულია. გაცილებით რთული, ვიდრე, ვთქვათ, პოლონეთში. ეს გვაჩვენებს, რომ ამ სირთულეების გადასაჭრელად ახალი შესაძლებლობები უნდა შეიქმნას. მე არ მაქვს რაიმე ჯადოსნური რეცეპტი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრას წაადგებოდა.

- ადგილობრივ ბიუჯეტებს ჩამოაჭრეს მოგების გადასახადი და ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართეს. ამან დიდი დარტყმა მიაყენა ადგილობრივ ბიუჯეტს და ეს მაშინ, როდესაც ევროსაბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის სერიოზულ განვითარებას ითხოვს.

- შემიძლია ვთქვა, რომ პოლონეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა იყო. მოვახერხეთ დეცენტრალიზაცია. რა თქმა უნდა, ფისკალური დისციპლინა ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა ეკუთვნოდეს. ეს გამოცდილება არსებობს და როგორც ვიცი, პოლონელი სპეციალისტები ამ საკითხებზე ქართველ კოლეგებთან ერთად მუშაობენ. სწორედ ამ ნაწილში შეგვიძლია პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება.

- თქვენ შევარდნაძის ეკონომიკური მრჩეველი იყავით. წინა მთავრობის რა შეცდომები არ უნდა გაიმეოროს ამ ხელისუფლებამ?

- 2000 წლამდე ვიყავი შევარდნაძესთან. მერე პოლონეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტად დამნიშნეს და ცხადია, ველარ ვიქნებოდი შევარდნაძის მრჩეველი. მაგრამ შევქმენი გუნდი, რომელიც აქ მუშაობდა და, რა თქმა უნდა, ვინტერესდებოდი იმით, რაც აქ ხდებოდა.

პირველი ვიზიტის შემდეგ დავწერე ანგარიში, სადაც საწყისი რეკომენდაციები იყო. ამ ეტაპის დასრულების შემდეგაც დავწერე ანგარიში, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. ვცდილობდით, შეგვეთავაზებინა ის, რაც საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის სასარგებლოდ ჩავთვალეთ. კარგი საუბრები იყო...

- საქმე?

- შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია მომწიფდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და გამოცდილება ახალი არ შეიძლება იყოს. ის ყოველდღიურად არ იცვლება. ახალი იქნებოდა შესაძლებლობების შექმნა იმისთვის, რომ ეს რეკომენდაციები ცხოვრებაში გატარდეს და ამისთვის ბრძოლაა საჭირო.

"Fitch"-ის შეფასება "პროკრედიტ ბანკის" პოზიციებს ამყარებს

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch Rating-მა "პროკრედიტ ბანკს" საერთაშორისო B რეიტინგი მიანიჭა, რომელიც ორი პუნქტით აღემატება გასული წლის რეიტინგს. აღსანიშნავია, რომ ასეთ სტატუსს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch Rating-ი საბანკო სექტორში დასაქმებულ ორგანიზაციებს მათი სანდოობის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, მზარდი საქმიანობისა და სხვა მონაცემის მიხედვით განუსაზღვრავს. საქართველოში ეს სარეიტინგო მაჩვენებელი ამჟამად მხოლოდ "პროკრედიტ ბანკს" გააჩნია, რაც მას ავტომატურად საიმედო ბანკის იმიჯს უქმნის. გარდა ამისა, ქვეყანაში უცხოელი ინვესტორებისათვისა თუ უცხოური კაპიტალისათვის საიმედო პარტნიორის არსებობას აფიქსირებს.

ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის ასმუს როტნეს განცხადებით, **"ეს არის საქართველოსთვის შესაძლო ყველაზე მაღალი საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბანკისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის. რეიტინგის ზრდა მიუთითებს, რომ ბანკი აქტიურად ვითარდება საერთაშორისო საბანკო სტანდარტებისაკენ".**

აღსანიშნავია, რომ სააგენტო "Fitch"-ის შეფასება საქართველოში ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესების ტენდენციას ასახავს. "პროკრედიტ ბანკის" შეფასებისას კი, როგორც ასმუს როტნე აღნიშნავს, **"სააგენტომ გაითვალისწინა აქციონერთა მხრიდან მხარდაჭერის მზადყოფნა, სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდა, მართვის მაღალი დონე, აქტივების გაუმჯობესების ხარისხი, სასესხო პორტფელის მაღალი დივერსიფიკაცია და მოზიდული სახსრების ზრდა".** მისი თქმით, საერთაშორისო რეიტინგი არის ერთ-ერთი გზა, რომლის საშუალებითაც კლიენტები ბანკის მდგრადობას, ფინანსურ საიმედოობას და ნდობის ფაქტორს განსაზღვრავენ.

"პროკრედიტ ბანკი" ერთადერთი უცხოური ბანკია, რომელმაც საქართველოს საბანკო ბაზარზე პირველმა და წარმატებით განახორციელა მცირე საწარმოების მომსახურება და რომელიც რეალურად აქტიურად მუშაობს საქართველოში. ბანკი აგრეთვე აწარმოებს ინდივიდუალური კლიენტების მომსახურებას, გასცემს სამომხმარებლო და ბიზნეს კრედიტებს. ახორციელებს პლასტიკური ბარათებით მომსახურებას, არის "ვიზას" და "მასტერქარდის" წევრი. საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში კი, როგორიცაა აჭარა, ზუგდიდი, მარნეული, "პროკრედიტ ბანკი" ყველაზე მსხვილი და აქტიური ფილიალებით არის წარმოდგენილი.

ინფორმაციისათვის - "პროკრედიტ ბანკი" საქართველოს საბანკო ბაზარზე ექვსი წლის უკან, 1999 წლის მაისში შემოვიდა და მისი ძირითადი მისია და ორიენტირი მცირე საწარმოების მომსახურება გახლდათ. დღეისათვის "პროკრედიტ ბანკი" ამ სფეროს მომსახურების მხრივ მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს.

"პროკრედიტ ბანკი" მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად მუშაობს. იგი წარმოდგენილია მსოფლიოს სამ კონტინენტზე, 19 ქვეყანაში. ბანკის აქციონერები არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები - პროკრედიტ ჰოლდინგი, KfW ჯგუფი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომპანია IPC და კომერცბანკი.

2005 წელს პროკრედიტ ბანკი ჟურნალ "Global Finance"-ის მიერ დასახელდა 2005 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში. შერჩევის კრიტერიუმები იყო აქტივების ზრდა, რენტაბელობა, სტრატეგიული კავშირები, კლიენტთა მომსახურება, და ინოვაციური პროდუქტები. 2005 წელს პროკრედიტ ბანკი ჟურნალ "The Banker"-ის მიერ დასახელდა ქვეყანაში ყველაზე დინამიურად განვითარებად ბანკად.

განცხადება

სს "დუშეთი-გაზი" აცხადებს კონკურსს დაბა ჟინვალის გაზმომარაგების სისტემის იჯარით გაცემაზე.

საბუთების შემოტანის ვადა 2005 წლის 11 დეკემბრამდე.

მსურველებს კონკურსის პირობების გაცნობა შეუძლიათ სს "დუშეთი გაზის"-ს დირექციაში (დუშეთი, ფარნავაზის ქ.47). ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. 9-დან 18 საათამდე.

სს "დუშეთი-გაზის"-ს დირექცია
17.11.2005 წ.

ახალ მისამართზე გადასვლის გამო გაცნობებთ, რომ ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში არ იმუშავებს ამა წლის 23 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.

ამა წლის 2 დეკემბრიდან საელჩო გაიხსნება შემდეგ მისამართზე:

თელავის ქ.N 20, "სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი" (შესასვლელი უკანა მხრიდან, ბრიტანეთის საელჩოს ყოფილ ტერიტორიაზე)

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების ბედი მართლმსაჯულებას ჩაბარდა

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების, შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმესთან დაკავშირებით, გამოძიება მყარად არის დარწუნებული დაპატიმრებულების დანაშაულებრივ ქმედებაში და იმაშიც, რომ მათი ბრალეულობის დასამტკიცებლად მყარი მტკიცებულებები შეკრიბეს.

გამოძიებამ შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დასრულებულად გამოაცხადა. დღეს დაკავებულის ადვოკატები საქმის შეწყვეტის შესახებ გამოძიების წინაშე დაყენებულ შუამდგომლობაზე პასუხს მიიღებენ, რის შემდეგაც საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცემა. როგორც რამიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა განაცხადა, რამიშვილის ქმედება ბრალდების მხარის მიერ გამოძალვად შეფასდა, თუმცა, რადგანაც კანონით გამოძალვა მუქარის ფაქტსაც შეიცავს, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მომხდარისთვის ამგვარი კვალიფიკაციის მინიჭება. ამ დროისთვის შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დასრულებულად გამოაცხადა. დღეს დაკავებულის ადვოკატები საქმის შეწყვეტის შესახებ გამოძიების წინაშე დაყენებულ შუამდგომლობაზე პასუხს მიიღებენ, რის შემდეგაც საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცემა. როგორც რამიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა განაცხადა, რამიშვილის ქმედება ბრალდების მხარის მიერ გამოძალვად შეფასდა, თუმცა, რადგანაც კანონით გამოძალვა მუქარის ფაქტსაც შეიცავს, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მომხდარისთვის ამგვარი კვალიფიკაციის მინიჭება. ამ დროისთვის შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ისინი თბილისის N1 საპყრობილის სამკურნალო დაწესებულებაში აღარ იმყოფებიან.

როგორც ცნობილია, ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი შალვა რამიშვილი და ამავე ტელეკომპანიის დირექტორი დავით კოხრეიძე 27 აგვისტოს დააკავეს. მათ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე - გამოძალვის მუხლით წაუყენეს.

დაკავების დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოპერატიული მასალა, სადაც ჩანს, რომ რამიშვილი ბექაურისგან, კომპრომატის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხას იღებს, თუმცა რა კომპრომატზეა საუბარი, ვიდეომასალაში არ ჩანს. საუბარში ასევე ნახსენებია ვახტანგ კომახიძის სახელი, რომელიც სტუდია "რეპორტიორის" დამფუძნებელია და სწორედ ამ სტუდიის მიერ მომზადდა ფილმი, სადაც პარლამენტარ კობა ბექაურის საქმიანობასთან დაკავშირებით, მისი მაკომპრემეტირებელი ფაქტებია დაფიქსირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა მოწმის სახით კომახიძეც დაკითხეს, მის მიმართ პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. სტუდია "რეპორტიორის" ფილმი ბექაურის უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებამ უკვე იხილა. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტში საგამოძიებო კომისიაც შეიქმნა, რომელსაც კოლეგის საქმიანობაზე საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ არ გაუკეთებია. თუმცა, ოპოზიცია უკვე ვარაუდობს, რომ კომისიის მუშაობა არაობიექტურად წარიმართება და ბექაურის ქმედებას - ტერმინალ "ოპიზას" საქმიანობაში აშკარა ჩარევას, პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები გამართლებას მაინც მოუძებნიან.

24 საათი

აფხაზური მხარე გალში ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის გახსნის წინააღმდეგია

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის უყურადღებობამ და შესაბამისი შეფასების გაკეთებაზე თავშეკავებამ, შესაძლოა, ისედაც უკიდურესად დაძაბული მდგომარეობა კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანოს და უმძიმესი შედეგი გამოიღოს.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივ ხელყოფას, მათ ცემას, წამებას, ძალადობასა და ადამიანურობისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულები დაგმო საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც. ომბუდსმენი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდლობისგან მოითხოვს, იმოქმედონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

"მივმართავთ საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრებს, მათ შორის - რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, რათა მათ, საკუთარი საშუალებების გამოყენებით, პოზიტიური გავლენა მოახდინონ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაზე, იმ მიზნით, რომ გალის რაიონში ამოქმედდეს გაერო-სა და ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი; გალის რაიონში შეყვანილ იქნას გაერო-ს პოლიციის კონტიგენტი," - აღნიშნულია სახალხო დამცველის მიმართვაში.

სხვათა შორის, გაეროს მისიის წარმომადგენლობამ რამდენიმე დღის წინათ გააკრცელა განცხადება, რომელშიც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი გალის რაიონში გაეროს და ეუთოს ადამიანთა უფლებების ოფისის გახსნისა და გაეროს პოლიციის ოფიცრების გაწვრთნების აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოთხოვნა რამდენიმე თვის წინათ გაეროს უმაღლეს დონეზეც გაისმა, კერძოდ, თავად გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა აფხაზურ მხარეს გალში გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის გახსნა მოსთხოვა. ჯერჯერობით ასეთი ოფისი, მხოლოდ სოხუმში ფუნქციონირებს. აფხაზური მხარე დღემდე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ საკითხის მოგვარებას.

"ჩვენ ბევრი პრობლემის მოგვარება გვსურს. ვიცით გალის რაიონში ჩადენილი ყველა დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ და სამართალდამცავი ორგანოებისგან ამიტომაც მოვითხოვთ უკეთესს მუშაობას და ბრძოლას დანაშაულის წინააღმდეგ. ჩვენ ვითარებას ვაკონტროლებთ", - განუცხადა ალექსანდრე ანქვაბმა ეუთოს კომისარს.

24 საათი

ფრანგული სასამართლო "ჩეჩნური ქსელის" საქმეს განიხილავს

საფრანგეთში ე.წ. "ჩეჩნური ქსელის" საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დასრულდა.

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, ამ საქმის გამოძიებისას გამოვლინდა რამდენიმე იატაკქვეშა დაჯგუფება, რომლის წევრებიც ჩრდილო კავკასიაში გასაგზავნი ბოევიკების გადაბირებაზე მუშაობდნენ, ან თავად გადიოდნენ სამხედრო მომზადებას "საქართველოს და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე არსებულ საერთაშორისო ტერორისტულ ბანაკებში".

ცნობის გავრცელებისას "რია ნოვოსტი" ეყრდნობა საფრანგეთის სამართალდამცველ სტრუქტურებს, რომელთა ინფორმაციითაც, ფრანგი გამომძიებლების - ჟან-ლუი ბრიუგერის, ჟან-ფრანსუა რიკარის და ფილიპ უარის მიერ შეგროვებული დოკუმენტები 14 ნოემბერს სასამართლოს გადაეცა.

ჩეჩნური ქსელის საქმესთან დაკავშირებით ფრანგმა სამართალდამცველებმა დაპატიმრებების პირველი სერია 2002 წლის დეკემბერში განახორციელეს, როცა პარიზის მახლობლად, კურნევში და რომენვილში 8 ადამიანი დააკავეს. მათ შორის აღმოჩნდნენ ვინმე მირუან ბენ ახმედი, რომელსაც ფრანგული სპეცსამსახურები ალჟირის ისლამისტური დაჯგუფების წევრად მოიხსენიებდნენ. მის გარდა დაკავეს მენად ბენშელალი, რომელიც ლიონის მახლობლად ვენისში სხვადასხვა საწამლავითა და მომწავლელი ნივთიერებებით ექსპერიმენტებს ატარებდა. გამომძიებლების მასალებით, ჩეჩნური ქსელის წევრები ტერაქტებს ქიმიური იარაღის გამოყენებით გეგმავდნენ, რაც პარიზში რუსეთის საელჩოს და სხვა წარმომადგენლობების წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო.

პანკისში წლების წინ არსებული ლაბორატორიის შესახებ, პირველად 2002 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გააკეთა განცხადება. მან პანკისის ხეობას უწოდა ტერიტორია, სადაც საერთაშორისო ტერორისტები შხაბებს ამზადებდნენ. თუმცა, კოლინ პაუელმა ისაუბრა ერთერთი ტერორისტული ორგანიზაციის "აზ-ზავაჰის" წევრზე აბუ ჰაფსზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა "ალ ქაიდასთან" და დაკავშირებული იყო პანკისის ხეობაში მყოფ დაჯგუფებებთან, რომლებიც მომწავლელ ნივთიერებებს ამზადებდნენ. თუმცა, სახელმწიფო მდივანმა იქვე განაცხადა, რომ აბუ ჰაფსი, რომელიც თავის დროზე პანკისში იმალებოდა, უკვე დაკავებულია.

არსებული ინფორმაციით, პანკისის ხეობაში დაკავებულ უცხოელ ტერორისტთა შორის ერთ-ერთი აბუ ჰაფსი მართლაც იყო. საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა იგი 2002 წელს ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს და ამერიკელ კოლეგებს გადასცეს. ბრიტანული გაზეთის "Sunday Times"-ის ინფორმაციით, რომელიც მან აშშ-ს სპეცსამსახურებისგან მიიღო, აბუ ჰაფსი ალი-ისლამ ელი-მაშრი, "ალ ქაიდას" პოლიტიკური კომიტეტის წევრი, მომწამვლელ ნივთიერებათა დამზადების საკითხში ექსპერტი, რომლის რეცეპტითა და მითითებებით მზადდებოდა მასობრივი განადგურებს იარაღი - ნივთიერება რიცინი, ამჟამად გუანტანამოს ბანაკში იმყოფება. ინფორმაციას უცხოელ ტერორისტთა დაკავების შესახებ ადასტურებდა საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმან რაითს ვოჩიც", რომლის ინფორმაციითაც, მათი დაკავება 2002 წლის 28 აპრილს მოხდა.

"ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, პანკისის ხეობა ტერორისტების თავშესაფარი აღარ არის," - მოგვიანებით, შარშანწინ, მას შემდეგ, რაც პანკისის ხეობა საბოლოოდ გასუფთავდა, ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა თავის წერილობით განცხადებაში.

ერთი სიტყვით, საქმე, რომელსაც ახლა საფრანგეთის სასამართლო განიხილავს და რომელშიც პანკისის ხეობაცაა მოხსენიებული, საქართველოსთვის ისტორიას ჩაბარებული გახლავთ.

24 საათი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

მ/წლის 4 ნოემბრის გაზეთ 24 საათის N245 გამოშვებაში გამოქვეყნებული შავ ზღვაში ქაფშიის თევზჭერის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების თარიღი საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გადაწეულ იქნა. შესაბამისად აუქციონის ჩატარდება 2005 წლის 7 დეკემბერს, ხოლო საბუთების მიღება იწარმოებს 21 ნოემბრის ჩათვლით მათ შორის 19 და 20 ნოემბერს (შაბათი, კვირა).

აგრეთვე, "ცხოველთა სამყაროს ობიექტებთს სარგებლობის ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N138 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მცურავი საშუალებებით. ამასთან სარგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განხორციელებული უნდა იყოს ამ აუქციონის ჩატარების დღემდე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო რუს სამშვიდობებს დანაშაულში ამხელს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 15 ნოემბერს ცხინვალის რეგიონის სოფელ მეღვრიკისთან მდებარე საგუშაგოდან რუსეთის სამშვიდობო ძალების ოფიცერმა მშვიდობიან მოქალაქეს დამიზნებით ესროლა, რითაც მან დაკისრებულ მოვალეობას უხეშად გადააჭარბა.

როგორც ცნობილია, სოფელ მეღვრიკისთან მდებარე საგუშაგოსთან რუსეთის სამშვიდობო ძალების ოფიცერმა ვიცე-პოლკოვნიკმა ცვიკევიჩმა ცეცხლსასროლი იარაღიდან "გაზელის" მარკის ავტომობილის მიმართულებით გაისროლა. ავტომანქანით მარნეულის რაიონის მცხოვრები ვადალ მამედოვი ცხინვალის მიმართულებით მიემგზავრებოდა. ტყვია მოხვდა ავტომობილის საქარე მინას, რომლის ნამსხვრევებითაც მამედოვი კისრის არეში დაიჭრა. იგი ცხინვალის საავადმყოფოში გადაიყვანეს. კონფლიქტის ზონაში არსებული სამშვიდობო კონტინგენტის მანდატის შესაბამისად, სამშვიდობო ჯარისკაცების მიერ იარაღის გამოყენება, როგორ უკიდურესი საშუალება, შესაძლებელია მათზე თავდასხმის ან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ამასთან, ჯერ უნდა გაკეთდეს ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა, ხოლო შემდეგ ავტოტრანსპორტის საბურავების მიმართულებით. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, ინციდენტის დროს ადგილი არ ჰქონდა არც სამშვიდობო საგუშაგოზე თავდასხმას და არც დაუმორჩილებლობის ფაქტს. გასროლა მოხდა დამიზნებით, მას შემდეგ, რაც ავტომანქანამ სვლას უკლო და გაჩერებას აპირებდა", - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

მედიანიუსი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ᲥᲕᲘᲗᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲠᲗᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲔᲪᲜᲠᲔ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲙᲐᲜᲮᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲐᲡᲐᲠᲗᲔᲑᲐᲡ:

1. მეტროს სადგური "ავჭალის თეატრი" (ცელდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გიორგინძე II".
(ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმენჩის" შენობის ხლ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნის ფორმად ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

საბჭოთა ეპოქაში ბორჯომის მინერალურ წყალს არანაკლები ყურადღება ეთმობოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გაიზარდა ბორჯომის წყლის წარმოების ტემპები. ბორჯომის მინერალური წყალი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ლიდერი გახდა, როგორც გაყიდვების ოდენობით, ისე ექსპორტის მაჩვენებლებით. ის ყველაზე სახელოვან და პრესტიჟულ მინერალურ წყლად აღიარეს. XX საუკუნის ოთხმოციან წლებში "ბორჯომის" გაყიდვებმა წელიწადში 400 მილიონ ბოთლს გადააჭარბა.

1990-1995 წლებში ბორჯომის წარმოება მკვეთრად შემცირდა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო. აუცილებელი იყო ღონისძიებების გატარება "ბორჯომის'' ბრენდის გადასარჩენად.

"ბორჯომის" ბოთლების გამბერი დანადგარი

ევროპის რეონსტრუქცისა და განვითარების ბანკმა (EBRD) კომპანია GG&MW Co N.V.-ში ჩადო 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები. რამდენიმე წლის შემდეგ, კომპანიის 10 წლისთავიზე EBRD-მ აღნიშნა, რომ მის მიერ GG&MW Co N.V.-ში ჩადებული ინვესტიციები არის საერთოდ ამ ბანკის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განხორციელებულ საინვესტიციო პროექტებიდან ერთ-ერთი, სამ საუკეთესო პროექტს შორის.

თავისი დაარსების დღიდან, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ განახორციელა 30 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციები თავისი საწარმოების უმაღლეს დონეზე აღჭურვისათვის. კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქცია ყველა საერთაშორისო ნორმებს პასუხობს.

ბორჯომის მინერალური წყლის "ევგენიევსკის წყარო" - 1905 წ.

2004 წელს GG&MW Co N.V.-მ შემოიერთა რომპანია "ML" და ამ მომენტიდან GG&MW Co N.V. გახდა "ბორჯომი"-ს ერთადერთი მწარმოებელი.

დღეისათვის "ბორჯომი"-ს 2/3 იყიდება რუსეთში, ხოლო საქართველოში, დაახლოებით 13%.

საქართველოს ყველაზე წარმატებული საფეხბურთო კლუბები სპონსორდებოდა GG&MW-ს მიერ. 1999-2005 წლებში ჩვენი კომპანია იყო თბილისის "დინამო"-ს გენერალური სპონსორი. 2005 წლიდან კი GG&MW Co N.V. გახდა საფეხბურთო კლუბ "ბორჯომი"-ს სპონსორი.

1995 წელს "ბორჯომი" ისხმებოდა უკონტროლოდ დაახლოებით 20-25 მცირე საწარმოს მიერ. ჯამში, ისინი აწარმოებდნენ არაუმეტეს 5 მილიონი ბოთლისა. 2005 წლის იანვრიდან მოყოლებული, "ბორჯომი" იწარმოება GG&MW Co N.V.-ს სრული კონტროლით. 1995 წელთან შედარებით, მინერალური წყლის წარმოება გაიზარდა 40-ჯერ და ამ წლის ბოლოსათვის მიუახლოვდება 200 მილიონიან ნიშნულს.

"ბორჯომის" ბოთლი - 1892 წ.

ფეხბურთი

არველაძემ სირცხვილისგან გვიხსნა

მიხეილ აბაიშვილი

2005 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრების ბოლო მატჩმა გაორებული შთაბეჭდილება დატოვა. ერთი მხრივ, მოპოვებულია გამარჯვება, თან - მეტოქესთან, რომელიც ფიფას რეიტინგში საქართველოს 30 პოზიციით უსწრებს (იორდანია 69-ე ადგილზეა, საქართველო - მე-100-ზე). ამასთან, გამოვლენილია ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა: მატჩის მსვლელობაში ხომ ჩვენი გუნდი მარცხდებოდა კიდეც. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებმა ერთ მატჩში ერთბაშად 3 გოლი გაიტანა (თუმცა, ორი გაუშვა). სამი და მეტი გოლი კი, ბოლოს, 2004 წლის გაზაფხულში, ანუ წლინახევრის წინ გავიტანეთ მეტოქის კარში. ეს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში მოხდა. თან, ამ შეხვედრაში აღსანიშნავია ისიც, რომ რაც გაიოზ დარსაძემ საქართველოს ნაკრები ჩაიბარა, ჩვენებმა პირველად გახსნეს ანგარიში. ხედავთ, რამდენი პოზიტიური რამ მომხდარა?

მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ, თან გაცილებით მძაფრად, ვიდრე ბულგარელებთან შეხვედრაში, გამოჩნდა ის ნაკლოვანი მხარეები, რომელიც თან სდევს დარსაძის ფორმაციის ეროვნულ ნაკრებს. ძალიან ბევრი შეცდომა დაცვის ხაზში, გაუაზრებელი და ქაოტური მოქმედებები მოედნის შუა ხაზში, რასაც, ოდნავ უფრო მაღალი კლასის მეტოქე, რა თქმა უნდა, არ გვაპატიებდა და ლევსკის კატასტროფას გაგვამეორებინებდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: დარსაძე მორიგ სირცხვილს გადაარჩინა ფეხბურთელმა, რომელსაც ნაკრების ხელმძღვანელობა იგნორირებას უკეთებდა და მის არგამოძახებას მშრალი ფრაზით - "დღეს ამ შემადგენლობაზე შევაჩერეთ ყურადღება" - ხსნიდა, ფეხბურთელმა, რომელიც, წესით, დღეს თბილისში არ უნდა ყოფილიყო, რადგან, სოფიიდან ჰოლანდიაში ჰქონდა დაბრუნება დაგეგმილი. ლევსკიზე განცდილმა მარცხმა მას კლუბში დაბრუნება გადააფიქრებინა. იგი თბილისში დაბრუნდა და ყველას გვაფიქრებინა, რომ ქართული საფეხბურთო გენი ჯერ კიდევ ცოცხალია. ამ ფეხბურთელმა, რომლის სახელი და გვარი შოთა არველაძეა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო (თუ საუკეთესო არა) თავდამსხმელია და მარტოს ძალუძს თამაშების ბედის გადაწყვეტა. ორი საგოლე პასი და ერთი ულამაზესი გოლი - ასეთი გახლავთ შოთა არველაძის გუშინდელი სტატისტიკური მონაგარი. მაგრამ, ვახსენო მარტო ეს პასები და გოლი, ნიშნავს, არაფერი ვთქვა. გუშინ შოთა მართლაც შეუდარებელი იყო. მოედნის შუა ხაზი, დაცვა, შეტევა, გააზრებული პასები და მის მიერ წამოწყებული გონივრული კომბინაციები - რომელი ერთი გავიხსენო.

დემეტრაძემ დუბლი შეასრულა.

ნამდვილად დიდი მოულოდნელობა იყო სტადიონზე არცთუ მცირერიცხოვანი გულშემატკივრის ხილვა. სიცივის და ბულგარული მწარე ფიასკოს მიუხედავად, 5 ათასამდე ქომაგი მაინც მოვიდა სტადიონზე. თუმცა, მალე ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა: გულშემატკივრები არა მხოლოდ პირდაპირი მოვალეობისთვის - გულშემატკივრობისთვის მოვიდნენ, არამედ, უფრო მეტად, აღშფოთების და გულისწყრომის გამოსახატად. "გადადექი" - ეს იყო ყველაზე უწყინარი და ცენზურით დაშვებული შეძახილი, რომელიც მთელი 90 წუთის განმავლობაში არ მინელებულა. შიგადაშიგ, გაცილებით უცენზურო შეძახილების სკანდირებაც ისმოდა უნისონში.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეროვნული ნაკრების და ფედერაციის ხელმძღვანელობა იმდენად დარწმუნებულია არჩეული გეზის სისწორეში, რომ ამის გამო ყოველგვარი კრიტიკის და უკმაყოფილებათა მასიური გამოხატვის მიმართ დაყრუებული და დაბრმავებულია. "ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო", გამონათქვამის მიხედვით მოქმედმა ქართული ფეხბურთის მესვეურებმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ აგვიგეს ოცნებების კოშკები და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ არჩეული გეზიდან, რომლის ერთადერთობაში და ჭეშმარიტ სისწორეში ეჭვის შეტანასაც კი მკრეხელობად მიიჩნევენ, გადახვევას არ აპირებენ.

შოთას ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობისაგან მართლაც ოქროს ძეგლი ეკუთვნის. პრესკონფერენციაზე გამოთქმულ "ბრძნულ" აზრებს მხოლოდ და მხოლოდ არველაძის გენიალური თამაში უმაგრებდა ზურგს. უკვე მერამდენედ, ამ ფეხბურთელმა თავი არ დაზოგა და თამაშში ოფლთან ერთად სისხლიც ჩააქცია. გუშინ მას ეს თავდადება დაუფასდა, მაგრამ დაუფასდება კი ეს ქართულ ფეხბურთს სექტემბერში? სულ დამავიწყდა, გუშინ საქართველოს ნაკრებმა იორდანიას (დანია არ გეგონოთ) 3:2 მოუგო.

სამუელ ეტო'ო: "რეალთან" შეხვედრისას ყველაფერი ხდება"

19 ნოემბერს "კლასიკოს" მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება სამუელ ეტო`ოს დაეთმობა. "ბარსელონას" ერთ-ერთი ლიდერი, მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ბრუნდება და შეეცდება თავისი გუნდის ძალისხმევა გატანილ გოლებში გარდასახოს, რაც ფორვარდს შარშან არ გამოუვიდა. "მე წესრიგში ვარ. ასე რომ, ახლა მთავარია ძალისხმევა წყალში არ ჩავყაროთ", - განაცხადა სამუელ ეტო`ომ.

სხვათა შორის, კამერუნელი ფორვარდი "რეალისთვის" ნამდვილი კოშმარია. მან მადრიდელთა კარში ხუთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. ამას გარდა, თავის ყოფილ კლუბთან შეხვედრაში ეტო`ო მხოლოდ ერთხელ დამარცხდა - შარშანდელ სეზონში, "ბარსელონას" შემადგენლობაში, დანარჩენ შემთხვევებში კი "მალიორკასთან" ერთად კამერუნელი ფორვარდი ამაყად ტოვებდა "ბერნაბეუს" მინდორს.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ ეტო`ომ "რეალის" კარში ექვსი გოლი გაიტანა. უფრო მეტი ფორვარდმა მხოლოდ ლა კორუნიას "დეპორტივოსა" (8) და სევილიის "ბეტისს" (7) გაუტანა.

- პაუზა, რომელიც ჩემპიონატში შეიქმნა, თქვენთვის სასარგებლო იყო თუ არა?

- თუ პირადად ჩემზეა საუბარი, ჩემთვის სულ ერთია. ზოგიერთს მიაჩნია, რომ სასარგებლოა. სხვები პირიქით ფიქრობენ. მე მგონია, რომ ეს პაუზა ჩემს თამაშზე არ აისახება.

- ამჟამად "ბარსა" აღმავლობას განიცდის. როგორ ფიქრობთ, ახლა "რეალთან" შესახვედრად საუკეთესო პერიოდია?

- როცა "ბერნაბეუზე" მიდიხარ, საუკეთესო მომენტი არ არსებობს. შარშან ჩვენ მშვენიერ ფორმაში ვესტუმრეთ "რეალს" და უკან ოთხი მიღებული გოლით დავბრუნდით. მთავარი ის არის, რომ ეს იქნება კიდევ ერთი თამაში და აქაც იგივე სამი ქულა გათამაშდება, როგორც სხვაგან. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ გამარჯვება საკუთარი თავის რწმენას გმატებს და და საბრძოლო განწყობას გიორმაგებს. იმიტომ, რომ ეს ძალიან პრესტიჟული და ცოტათი ეგოისტური მატჩია.

- რას გეუბნებიან ქუჩაში ადამიანები? გამხნევებენ და გთხოვენ, "ბერნაბეუზე" გოლი გაიტანეო?

- ისინი ყოველთვის მამხნევებენ - ეს ბუნებრივია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მათ სურთ, რომ "რეალის" კარში ყველა დარტყმა გოლით დასრულდეს. მეც სწორედ ეს მინდა. ერთადერთი, რაც შემიძლია გულშემატკივარს ვუთხრა, ის არის, რომ ყველა ღონეს ვიხმარ გოლის გასატანად, რასაც ყოველ მატჩში ვაკეთებ კიდეც.



სამუელ ეტო`ო შაბათს ყურადღების ცენტრში იქნება.

- როგორ არ გაგიმართლათ, რომ ვან ბომელმა ტრავმა მიიღო...

- ფეხბურთში ასეთი რამეები ხშირად ხდება. ახლა მის გვერდით უნდა ვიყოთ და გავამხნევოთ. რამდენიმე კვირის შემდეგ ის ისევ ჩვენთან იქნება და დარწმუნებული ვარ, ისევე ითამაშებს, როგორც აქამდე. ყველა შემთხვევაში ჩვენ შესანიშნავი შემადგენლობა გვყავს და დარწმუნებული ვარ, მის ადგილზე გამოსული ფეხბურთელიც ისევე კარგად ითამაშებს, როგორც ვან ბომელი თამაშობდა.

- მინდორზე რონალდოს გამოჩენას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს თამაშის მსვლელობაზე?

- არა მგონია, რომ გუნდის თამაში ერთ ფეხბურთელზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ რასაც "მსუქანა" შეეხება, ყველაფერი ბადეში ხვდება. ის პირველი ნომერია. ის იმ ფეხბურთელთა კასტას მიეკუთვნება, რომელთაც მთელი თამაშის განმავლობაში ორი მომენტი ექმნებათ და ორივეს გოლით აგვირგვინებენ. მიმაჩნია, რომ ასეთ მატჩებში ყველა საუკეთესო ფეხბურთელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. და თუ ის მწყობრში ჩადგება, ეს სანახაობისთვის ძალიან კარგი იქნება. თუმცა, მინდორზე მისი ყოფნა ჩვენს სათამაშო გეგმებს არ შეცვლის.

- შარშანდელ სეზონში "ბარსას" უფრო მეტი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ გაიმარჯვა "რეალმა", რომელმაც უფრო ეფექტურად ითამაშა.

- მართალია. შარშანდელ სეზონში ჩვენ ბევრი მომენტი გვქონდა. ვფიქრობ, ის თამაში კარგ გაკვეთილად გამოგვადგება საიმისოდ, რომ წელს იგივე შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

- ასეთ მატჩებში განწყობა და მოტივაცია მაქსიმალურია?

- ჩემი მოტივაცია მაქსიმალური იქნება. იგივე შემიძლია ვთქვა ფიზიკურ ფორმაზეც. ამ მოტივაციას კი მხოლოდ რეალიზება დასჭირდება.

- რაიმე წინათგრძნობა გაქვთ?

- თამაშამდე არასოდეს არაფრის თქმა არ ღირს. ჩვენ მწყობრში ვართ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

მოკლედ

ბალაკი "ბაიერნში" რჩება

მიუნხენის "ბაიერნის" კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რომ ის შეიძლება ბავარიულ კლუბში დარჩეს, იმის მიუხედავად, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელობა მას კონტრაქტის გახანგრძლივებას არ სთავაზობს. "გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. "ბაიერნისთვის" უარი არ მითქვამს. სავსებით შესაძლებელია კლუბში დავრჩე, - განაცხადა მიხაელ ბალაკმა და დაამატა, რომ მისი გადაწყვეტილება ფინანსურ პირობებზე არ იქნება დამოკიდებული, - მე არასოდეს მითქვამს, რომ "ბაიერნში" ფინანსური პირობები არ მაკმაყოფილებს. უბრალოდ, მინდა სხვა წინადადებებიც მოვისმინო. საერთოდ, უკვე ხუთი-ექვსი წელია, რაც მსურს ძალები საზღვარგარეთ მოვსინჯო", - განაცხადა გერმანიის ნაკრების ლიდერმა. გერმანული პრესის ცნობით, "ბაიერნმა" ბალაკს ოთხ წელიწადში 42 მილიონი დოლარის გადახდა აღუთქვა.

სანტა კრუსმა კონტრაქტი გააგრძელა

მიუნხენის "ბაიერნმა" სამი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი ტრავმირებულ ფორვარდ როკე სანტა კრუსს. მუხლზე ოპერაციის გამო პარაგვაელი ფორვარდი ბავარიული კლუბის ღირსებას 2006 წლის აპრილამდე ვერ დაიცავს. მისი მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს იწურებოდა.

"რეალი" ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს

მადრიდის "რეალის" ფორვარდებმა რონალდომ და ჟულიო ბაპტისტამ ტრავმები მოიშუშეს და შაბათს "ბარსელონას" წინააღმდეგ ითამაშებენ. გუშინ მათ სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარეს. რონალდო 15 ოქტომბრის შემდეგ აღარ თამაშობს. მას "ატლეტიკოსთან" მატჩში მუხლის მყესები გაუწყდა. ბაპტისტამ კი ოთხი დღის შემდეგ მიიღო ტრავმა. არ არის გამორიცხული, რომ შაბათს მინდორზე ზინედინ ზიდანი და ივან ელგერაც გამოვიდნენ.

ლუის ფერნანდესი ისრაელში იმუშავებს

ფრანგული "პარი სენ-ჟერმენის" ყოფილი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი თანახმაა ისრაელის "ბეითარის" გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე იმუშაოს. ის კლუბის ახალმა მფლობელმა არკადი გაიდამაკმა მიიწვია. "ჩვენ მსოფლიოში ცნობილი პროფესიონალი გვჭირდება. სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ ფერნანდესი", - განაცხადა გაიდამაკმა. ბოლო დროს ფერნანდესი ყატარში მუშაობდა.

ტაისონი დაბრუნდება

მაიკ ტაისონი მზად არის რინგზე დაბრუნდეს, რათა ანტონიო ტარვერის წინააღმდეგ იბრძოლოს. მან ტარვერთან მოლაპარაკება უკვე გამართა. "სკაი სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ტაისონმა განაცხადა, რომ მას კევინ მაკბრაიდთან დამარცხების შემდეგ აღარ უვარჯიშია. თუმცა, ტარვერის წინააღმდეგ საჩხუბრად მაინც მზად იქნება.

განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

მდ.ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრება სოფ. მათხოჯის ტერიტორიის დასაცავად - I უბანი

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი (IDA): N 35421-GE; გრანტი: N H1760

პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068

IFB N PCC/IDCDP/CW/NCB/6-2005

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრებისათვის სოფ. მათხოჯის ტერიტორიის დასაცავად- I-უბანი NPCC/IDCDP/CW/NCB/6-2005 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოში, თბილისიდან 240 კმ მანძილზე, ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის ტერიტორიაზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილის-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალით, ქუთაისის, სამტრედიის და ხონის გავლით. მანძილი ქ. ხონიდან სამშენებლო მოედნამდე შეადგენს 14 კმ-ს (ასფალტისა და მოხრეშილი გზებით).

სამუშაოები ითვალისწინებს: 322 მ სიგრძის ნაპირდამცავი დამბის მოწყობას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- გრუნტის დამუშავება -17,4 ათასი მ^3;
- მიწის ყრილი - 7,8 ათასი მ^3;
- დამბის მოპირკეთება ფლეთილი ქვის წყობით - 7,0 ათასი მ^3.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 30 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თიბისი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი,თბილისი, საქართველო.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში , ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 2005 წლის 1 დეკემბრის 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული

საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224

ტელ: +995 32 989924 / 935169

ფაქსი: +995 32 934921 / 989924

ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

მდ.ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრება ქ.ხონის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის დასაცავად - II უბანი

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი (IDA): N 35421-GE; გრანტი: N H1760

პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068

IFB N PCC/IDCDP/CW/NCB/7-2005

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრებისათვის ქ.ხონის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის დასაცავად- II-უბანი NPCC/IDCDP/CW/NCB/7-2005 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოში, თბილისიდან 235 კმ მანძილზე, ხონის რაიონში, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილის-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალით, ქუთაისის, სამტრედიის და ხონის გავლით. მანძილი ქ. ხონიდან სამშენებლო მოედნამდე შეადგენს 10 კმ-ს (ასფალტისა და მოხრეშილი გზებით).

სამუშაოები ითვალისწინებს: 1437 მ სიგრძის უბანზე ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობას:

- ფლეთილი ქვის წყობით მოპირკეთებული დამბის მოწყობა - 529 მ,
- მინაყრილის დამბის მოწყობა - 908 მ;
- სამი არსებული ნაკადმიმმართველი დეზის აღდგენა და ორი ახალი დეზის მშენებლობა (თითოეული სიგრძით 50-80 მ).

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:
- გრუნტის დამუშავება -50,0 ათასი მ^3;
- მიწის ყრილი - 30,2 ათასი მ^3;
- დამბის მოპირკეთება ფლეთილი ქვის წყობით - 40,1 ათასი მ^3.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 40 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თი ბი სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი,თბილისი, საქართველო.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში , ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 1 დეკემბრის 12 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული

საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224

ტელ: +995 32 989924 / 935169

ფაქსი: +995 32 934921 / 989924

ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის თანამდებობის დასაკავებლად. მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი იმუშავებს BP-ს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდში და პასუხისმგებელი იქნება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისა და მთელი გუნდისათვის საჭირო დახმარების გაწევაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება საქართველოში BP-ის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისათვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდის ხელმძღვანელისა და ამ გუნდისათვის;
- ზოგადი ადმინიტრაციული სამუშაოს შესრულება უსაფრთხოების ხელმძღვანელობის გუნდისათვის (SLT);
- შეხვედრების (SLT, შეხვედრები ჯანდაცვის საკითხებზე და სხვა) ოქმებისა და დღის წესრიგების წარმოება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- STOP-ისა და ASA-ს პროგრამების მონაცემების განახლება და შემდგომი ქმედების აღრიცხვა;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მოქმედების აღრიცხვის სისტემის (ATS) მონიტორინგი და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურების შეკვეთების ადმინისტრირება MAXIMO-ს სისტემაში;
- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;
- დოკუმენტების კონტროლის, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის მართვის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

- უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";
- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება

BP Explorations Caspian Sea Ltd.

უსაფრთხოების ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უსაფრთხოების ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. უსაფრთხოების ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა

უსაფრთხოების ასისტენტი ანგარიშვალდებული იქნება მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე და მისი ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

უსაფრთხოების ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული დახმარების გაწევა მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერისათვის;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- გუნდების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით მილსადენის გასხვისების დერეფნის რუქის განახლება დათვარიელების ფურცლების ყოველღიური მოთხოვნის საფუძველზე;
- მილსადენის ინციდენტების ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის წარმოება ყველა იმ შემდგომი ქმედების აღსარიცხავად, რომელიც თან მოჰყვება ინცინდენტების/პოტენციური ინციდენტების ანგარიშებს;
- ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება და გამოშვება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- დახმარების გაწევა "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოებაში, რათა მოხდეს კორექციული მოქმედების განხორციელება; "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოების მიზანია შეინარჩუნოს და აკონტროლოს თავდაპირველი ინციდენტი და თავიდან იქნას აცილებული დაშვებული შეცდომის განმეორება;
- "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა (DVR-ების ჩათვლით);
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურეობის შეკვეთების ადმინისტრირება და კონტროლი MAXIMO-ს სისტემაში;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;
- დოკუმენტების, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის, კონტროლის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

- უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";
- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება

BP Explorations Caspian Sea Ltd.

ავიაკომპანიების "შავი სია"

უნდობლობა სხვადასხვა ავიაკომპანიის მიმართ ევროპაში კიდევ უფრო იზრდება

ევროპარლამენტმა სტრასბურგში პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის არასაიმედო ავიაკომპანიებისა და ავიალაინერების "შავი სიის" შექმნის ძირითადი პრინციპების შესახებ. კანონპროექტი ძალაში 2006 წლიდან შევა.

ბელგიის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ე.წ. ერთობლივი შავი სიის შექმნის ინიციატივას მხარი 577 დეპუტატმა დაუჭირა 15-ის წინააღმდეგ, ხოლო 31 პარლამენტარმა პოზიციის გამოხატვისაგან თავი შეიკავა.

ევროპარლამენტმა ზემოაღნიშნული კანონპროექტის მიღება მიმდინარე წლის ზაფხულში საბერძნეთსა და კოლუმბიაში მომხდარი ავიაკატასტროფების შემდეგ დააჩქარა, რასაც 300 მგზავრი შეეწირა, მათ შორის ევროპელებიც.

დღემდე ევროკავშირის რიგ ქვეყნებში ეროვნულ დონეზე არსებობდა ავიაკომპანიების "შავი სიები". მგზავრთა უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, ავიაკომპანიების ერთობლივი "შავი სიის" შექმნაზე კი მოლაპარაკებები ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მინისტრებმა ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყეს.

ეროვნულ დონეზე ზემოაღნიშნული არასანდო ავიაკომპანიების სია მუდმივად იზრდება, რაც ავიალაინერების ტექნიკურ გაუმართაობასა და ეკიპაჟის მომზადების დაბალ დონესთან არის დაკავშირებული. ტექნიკური პრობლემების შესახებ მონაცემებს კი ნაციონალური აეროპორტების თანამშრომლები აღრიცხავენ.

დღემდე ევროკავშირის მასშტაბით არასაიმედო ავიაკომპანიების სია მხოლოდ სამ სახელმწიფოს ჰქონდა გამოქვეყნებული. "შავ სიაში" შეტანილ ავიაკომპანიების კუთვნილ თვითმფრინავებს ბელგიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიებზე ფრენა ეკრძალებოდათ.

ჯორჯ ბუში ჩინეთს მეტი თავისუფლებისკენ მოუწოდებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კიოტოს ბუდისტური ტაძრის მონახულებისას მან დემოკრატიის ეტალონად ტაივანი მოიყვანა. ამ კუნძულზე, ბუშის თქმით, მიხვდნენ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებები ერთმანეთისგან განუყოფელია. "**ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას ჩინეთის ლიდერები აღმოაჩენენ, რომ თუ თავისუფლებას კარი სულ ოდნავ მაინც გაუღებ, მას ვეღარ შეაჩერებ. ჩინელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მომატებასთან ერთად, გაიზრდება მათი პოლიტიკური მოთხოვნებიც,**" - წინასწარმეტყველებს ჯორჯ ბუში. მისი ღრმა რწმენით, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება ჩინეთის ინტერესებსაც შეესაბამება, ხოლო დემოკრატიის გავრცელება სასიკეთო გავლენას მოახდენს მთელს რეგიონზე.

ჯერჯერობით უცნობია, როგორი იქნება ჩინეთის ხელისუფლების რეაქცია აშშ-ს პრეზიდენტის გამონათქვამებზე. თუმცა, აშკარაა, ტაივანის მოხსენიება რეგიონის ყველაზე წარმატებულ ქვეყნად ოფიციალურ პეკინს გააღიზიანებდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები გუშინვე ცდილობდნენ, შეერბილებინათ მათი უფროსის ტონი და ირწმუნებოდნენ, რომ ბუში არ აპირებს პეკინში "ლექციების კითხვას".

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია კიდევ ერთი ფაქტის შესახებ, რომელმაც შესაძლოა, აშშ-ჩინეთის ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. საგულისხმოა, რომ გასულ თვეში ჩატარებული სპეოპერაციის შესახებ მხოლოდ ახლა, პრეზიდენტის პეკინში ჩასვლამდე სამი დღით ადრე გახდა ცნობილი.

"ესოხეტეტდ პრეს"-ის ინფორმაციით, აშშ-ს ხელისუფლებამ სამი ჩინური წარმოშობის მოქალაქე საიდუმლო სამხედრო ინფორმაციის მოპარვის და მისი ჩინეთისთვის გადაცემის მცდელობაში დაადანაშაულა. ბრალდებები 65 წლის ინჟინერს ჩი მაკს, მის ცოლსა და ძმას წაუყენეს. სამივე ეჭვმიტანილი აშშ-ს სამართალდამცველებმა 28 ოქტომბერს დააკავეს.

ჩი მაკი "Power Paragon"-ის კომპანიაში მუშაობდა, რომელიც პენტაგონის დაკვეთით სამხედრო ხომალდების ძრავების შექმნის პროგრამებს ამუშავებს. გამოძიების ფედერალური ბიურო ამტკიცებს, რომ ჩინელმა ინჟინერმა და მისმა ცოლმა საიდუმლო ინფორმაციის ნაწილის ასლი გადაიღეს.

დისკები, რომელიც საიდუმლო სამხედრო პროექტის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა, ჩი მაკმა ძმას გადასცა, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად 28 ოქტომბერს ჰონკონგში უნდა გაფრენილიყო. ისინი გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა ლოს-ანჯელესის აეროპორტში, თვითმფრინავში ჩასხდომის წინ დააპატიმრეს. ამავე დღეს მაკი და მისი ცოლი კალიფორნიაში საკუთარ სახლში აიყვანეს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ანგარიშში ნათქვამია, რომ ჩხრეკის დროს მაკების ოჯახში ჩინურ ენაზე დაწერილი ორი წერილი აღმოაჩინეს, რომელშიც ჩი მაკს წყალქვეშა ნავების ტორპედოებზე, ელექტრომაგნიტურ ქვემეხებზე, რაკეტების ადრეული აღმოჩენის და ბირთვული ქობინებისგან დაცვის სისტემებზე ინფორმაციის მოპოვებას სთხოვენ.

24 საათი

იტალიის სახელისუფლებო ორგანოებს რეფორმა ესაჭიროება

იტალიის კანონმდებლები ხელისუფლების ორგანოების რეფორმებთან დაკავშირებით კანონში ცვლილებების შეტანას გეგმავენ. ეს ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ უდიდესი საკონსტიტუციო ცვლილება იქნება. ახალი ცვლილებებით გათვალისწინებულია ცენტრალური ხელისუფლებიდან ქვეყნის 20 პროვინციის ადგილობრივ თვითმმართველობისთვის მრავალი უფლებამოსილების გადაცემა.

ცვლილებათა პაკეტი, მართალია, არცთუ ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ გავლენიანი პარტიის "ჩრდილოეთის ლიგის" მიერაა მომზადებული. ეს პარტია კი მმართველი კოალიციის უმთავრეს პარტნიორად განიხილება.

"ჩრდილოეთის ლიგის" მიერ შემუშავებული კანონპროექტი პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების გაძლიერებასა და პარლამენტის ორივე პალატაში დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას ითვალისწინებს.

მმართველი კოალიციის მოკავშირე პარტიის მიერ შემუშავებული ცვლილებები, რასაკვირველია, არ მოსწონს მემარცხენე ოპოზიციას. საკონსტიტუციო რეფორმების საკითხთან დაკავშირებით ოპოზიცია სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. **ბი-ბი-სი**

თავისუფლება 54 წლიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ

ინდოეთის ერთ-ერთ შტატში ასამ მაჩალში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. შტატის მცხოვრები ვინმე ლალუნგი სასამართლომ მხოლოდ 54 წლიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა. ყოფილი პატიმარი, რომელიც ამჟამად უკვე 77 წლისაა, სასამართლო პროცესის გამართვამდე წინასწარი პატიმრობით ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს და შემდეგ დაივიწყეს. მისი საქმე შემთხვევით აღმოაჩინეს, როდესაც ხალხისგან იზოლირებული პირების პირადი ანკეტების არქივს აწესრიგებდნენ. დანაშაული კი ახლა თავად ლალუნგსაც აღარ ახსოვს. ყოფილი ტუსაღის ოჯახი მრავალი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა დაკარგული ლალუნგის მოძიებას. ახლა კი სამართალდამცველებს თავად მოუხდათ ყოფილი პატიმრის ოჯახის მოძებნა, სადაც თაობები დიდი ხნის წინ შეიცვალა.

"**აქ უკვე თავისუფალი ვარ, მაგრამ არავის ვიცნობ. კარგია სახლში ყოფნა, მაგრამ ჩემმა ცხოვრებამ უჩემოდ ჩაიარა,**" - ამბობს შემთხვევით მივიწყებული ყოფილი პატიმარი.

ლალუნგის ოჯახმა უკვე შეიტანა სარჩელი უზენაეს სასამართლოში კომპენსაციისათვის, რაც ინდოეთის კანონით ათიათასობით აშშ დოლარის ეკვივალენტია. თავად ლალუნგი კი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია იმ ცხოვრების კომპენსირება, რომელიც მავანთა დაუდევრობის გამო ფუჭად გაიფლანგა. **რიანოვოსტი**

თვალსაზრისი

ომი თუ მშვიდობა - როგორ დავიბრუნებთ აფხაზეთს?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აფხაზები ჩვენი მოსახლეობაა და მათთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ; მათ უნდა შევთავაზოთ რაღაც ცდუნების მომგვრელი, რომ მათთვისაც მიმზიდველი გახდეს ერთიან საქართველოში ცხოვრება; "ბლოკადა" უნდა გაუქმდეს, პირიქით, უნდა მოხდეს დაახლოება საერთო საქმიანობის გზით (აქ კრიმინალური და კონტრაბანდული ბიზნესის წარმატებული გამოცდილება არ იგულისხმება). პერმანენტულად უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკებები სეპარატისტებთან, უნდა დავარწმუნოთ ისინი, ჩვენთან ცხოვრების უპირატესობაში; ზოგიერთი ულტრაპატიოტის აზრით კი, სეპარატისტებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ და ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული; უნდა შევეშვათ ისტორიის ფალსიფიცირების გამო ატეხილ დავას; უნდა შევქმნათ აფხაზების უსაფრთხოების მაგარანტირებელი პირობები და ა.შ... მოკლედ, მთავარია ჩვენსა და აფხაზებს შორის *ნდობის დამკვიდრება*, მთავარია რას მოინდომებენ აფხაზები, მათ უნდა დავუთმოთ ყველაფერი, რისი დათმობაც კი შეიძლება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. აფხაზების ჩვენდამი კეთილი განწყობის და კეთილი ნების გარეშე პრობლემა არ მოგვარდება...

ამ თვალსაზრისის მომხრეებმა გულის სიღრმეში ალბათ იციან, რომ აფხაზებისთვის მთავარია არ იყვნენ ქართველებთან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში და ამ მიზნის მისაღწევად, თავის მხრივ, მზად არიან, დათმონ ყველაფერი, ოღონდ არა უკვე მოპოვებული ფაქტობრივი დამოუკიდებლობა (საქართველოსაგან დამოუკიდებლობა). და მაინც, პაციფისტები იმედოვნებენ, რომ აფხაზებს დაარწმუნებენ გახშირებული მოლაპარაკებებით; თავს ვალდებულად თვლიან, დაარწმუნონ ისინი...

ცხადია, ეს მიზანსწრაფვა უტოპიურია; რუსეთს აფხაზეთში ნებიმიერი: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რაგინდარა პროცესების სადავეები მყარად უპყრია და აფხაზების გადმობირების შესაძლებლობა, - რუსეთით მათი დაშინების და საქართველოთი მათი ცდუნების გზით, - მხოლოდ ცხარე მეოცნებეს თუ სჯერა. ამ ხავსს მხოლოდ დამარცხებისაგან სასოწარკვეთილი და ნერვიული აშლილობის მდგომარეობაში ჩარჩენილი წყალწაღებული თუ მოეჭიდება. დამარცხებისაგან გაბნილებული საზოგადოების ნაწილი სასურველს რეალობად წარმოიდგენს და თავს ოცნებით იმშვიდებს. *ქართველთა და აფხაზთა საოცნებო თანხმობა იმდენად კონფლიქტის მოგვარების წინაპირობა არ არის, რამდენადაც იურისდიქციის აღდგენის შემდეგ მისაღწევი ამოცანა*, მაგრამ, ვთქვათ, ეს არც მთლად ასეა, ვთქვათ, ქართველთა და აფხაზთა ეს სასურველი წინასწარი თანხმობა რეალურად მიღწევადია. მერედა საკმარისია კი ეს პრობლემის გადაჭრისათვის?

პაციფისტების აზრით, თანხმობა ყველა შემთხვევაში კარგია და თუ ეს საკმარისი არ არის, მაშინ პრობლემა მით უმეტეს ვერ გადაიჭრება.

კი მაგრამ, რატომ უნდა მოუბრუნდეთ გული აფხაზებს ქართველებზე? - ამ ხალხმა ხომ თავისი ნაციონალური იდენტობა ქართველებთან დაპირისპირების და ბრძოლის გზით მოიპოვა და ახლა რატომ უნდა თქვან უარი ამ მონაპოვარზე, - ქართველების წუწუნის და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩიჩინის გამო?! თუ მხოლოდ იმიტომ, რომ თანამეგობრობა მათ დამოუკიდებლობას ჯერაც არ ცნობს? იქნებ სამომავლოდ ცნოს, თუ არა და, საქართველოსთან ერთიანობას იქნებ ისევ რუსეთში ინტეგრაცია ურჩევნიათ?!

სამოქალაქო პაციფისტების თეორია აფხაზეთის შემოერთების წინაპირობად სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასაც გულისხმობს (როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე აფხაზეთში). ეს უფრო იმიტომ, რომ საზოგადოების ასეთ ტრანსფორმაციას ის სანუკვარი ეკონომიკური კეთილდღეობაც მოჰყვება, რაც ასე ძალიან ენატრება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ საზოგადოებას. ასეთი პერსპექტივა პოლიტიკურ ელიტებზე ხალხის მხრიდან ზემოქმედების ბერკეტს აამოქმედებდა. იგულისხმება, რომ ხალხი კარგია, - მშვიდობა და თანაცხოვრება სურს, პოლიტიკური ელიტები კი - ცუდი, მათ ომი გააჩაღეს და ხალხი ჩაითრიეს... მაგრამ აზრთა ასეთ წყობას გაუვალად მოეხსენება, რომ მთავარი პროტაგონისტი აქ რუსეთია და აფხაზების წინასწარი შემორიგების - ფაქტობრივად გადმობირების - ოცნებით მათ ქვეშეცნეულად სურთ, რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ მომართული უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი წაგლიჯონ ხელიდან.

რამდენად რეალურია ამის გაკეთება?

სამოქალაქო პაციფისტები იმედოვნებენ, რომ აფხაზებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების არანაირი შანსი არ გააჩნიათ. გამორიცხული არც ის არის, რომ ისინი მწარედ ცდებოდნენ, მაგრამ რომც არ ცდებოდნენ, და აფხაზებს საქართველოსაგან "დე ფაქტო" დამოუკიდებელ რეჟიმში არსებობის გარდა მეტის მიღწევა არც შეეძლოთ, ეს მდგომარეობა სულაც არ არის ფაქტორი, რომელიც აფხაზებს მოანდომებს საქართველოს შემადგენლობაში - თუნდაც აყვავებულ და დემოკრატიულ საქართველოს შემადგენლობაში - დაბრუნებას. აფხაზები ეკონომიკური თუ დამატებით სხვა, მათ შორის პოლიტიკური მონესრიგების პერსპექტივის მაინცდამაინც ქართველებთან ერთიან სახელმწიფოში გადაშლით, არ წამოვლენ ნებაყოფლობით დათმობებზე. ამას არც მაშინ გააკეთებენ, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ ასეთი გადაწყვეტილების მიღება რუსეთის პოლიტიკური ნებისაგან დამოუკიდებლად და ამ ნების წინააღმდეგ შეეძლებათ, - მით უმეტეს მაშინ აღარ წამოვლენ ამაზე!!! დაპირებული კეთილდღეობა აფხაზებს ვერ აცდუნებს. მაშინ, რამ უნდა **აიძულოს** აფხაზები ერთიან ქართულ სახელმწიფოში დაბრუნდნენ, განსაკუთრებით გადატანილი ომის მერე? რა იგულისხმება იძულების ქვეშ ამ შემთხვევაში? ან იქნებ საერთაშორისო თანამეგობრობის ხათრით გააკეთებენ ამას. მთელი აფხაზური საზოგადოება რომ დაარწმუნო, ათასი წელი არავინ ცნობს მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო, ისინი მაშინაც საქართველოსგან "დე ფაქტო" გამიჯნულ ყოფას არჩევენ, *დამოუკიდებლობა* (თუნდაც არასრული) *ზემინშვნელოვანი ფასეულობაა და "საცვლელი ღირებულება" არ გაჩნია, მას ნებაყოფლობით არ თმობენ!!!* აფხაზურ საზოგადოებას სურს და სჯერა, რომ რუსეთის ნამდვილი ზრახვების მიუხედავად და იქნებ სწორედ ამ ნამდვილი ზრახვების გამოყენებით, ისინი რეალურ დამოუკიდებლობას მიაღწევენ. ამასობაში კი ხანგრძლივი "დე ფაქტო" დამოუკიდებლობა და ის, რომ ახალი თაობა იჭერს ძველი, გამოდევნილი მოსახლეობის ადგილს, მორალურ საფუძველს ურყევს საქართველოში აფხაზეთის რეინტეგრაციის მოთხოვნას.

სამოქალაქო ინტელექტუალები გრძნობენ, ჭკუის გარდა სხვა დიდი არაფერი რესურსი რომ არ გააჩნიათ და უნდათ, ამ რესურსის ამარა მოაგვარონ პრობლემა, ამიტომ ნაირნაირ იკლიკანტურ კომბინაციებს გვთავაზობენ: მათი აზრით, ძაღლის თავი კონფლიქტოლოგიურ ზაფრებშია ჩამარხული; მათი აზრით, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა აფხაზებთან შეთანხმების გზით შეიძლება, ოღონდ უნდა მიაგნო *ამოხსნას, სწორ მეთოდს*, რაც, ერთხელაც ვიტყვი, ამაო მცდელობაა. აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემას არა აქვს ინტელექტუალური გადაწყვეტა - არამედ პოლიტიკური, რაც აუცილებლად გულისხმობს **ნებელობით** ფაქტორს; აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის გადაჭრა სხვადასხვანაირი სცენარების გზით შეიძლება, მაგრამ ყველა შემთხვევაში *ძალის არსებობაა* საჭირო - პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და ა.შ. *ძალის*, ანუ *ნების* არსებობა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, წინა ხელისუფლებას ეს ნება არ გამოუვლენია, ხელისუფლების ძალისხმევებს რუსეთის პოლიტიკური ნებისადმი სრული მორჩილების სახე ჰქონდა.

სამოქალაქო პაციფისტებიც პოლიტიკური ელიტის ამ კაპიტულანტური ფსიქოლოგიის ტალღაზე ამოტივტივდნენ. დათმობის ნების პერმანენტული გამოვლენით კონფლიქტის ამოწურვა მართლაც არის შესაძლებელი, ოღონდ ეს არ იქნება საქართველოს გამარჯვება.

არის კი აფხაზეთის პრობლემა ქართულ-აფხაზური? არის კი სამოქალაქო პაციფისტების ხედვა პრობლემის ერთადერთი და მართებული ხედვა? ცდებიან თუ არა ისინი, ვინც ფიქრობს, რომ აფხაზეთის პრობლემა უპირველეს ყოფლისა საერთაშორისო პრობლემაა, კერძოდ კი ქართულ-რუსული ურთიერთობის პრობლემა? მოდი, ნუ მივიჩნევთ ნურც ერთ ხედვას მეორის აბსოლუტურად გამომრიცხავ ჭეშმარიტებად, ჩავთვალოთ, რომ ისინი თავსებადია და ვცადოთ ამის დემონსტრირება. ნუღარ ვიქილიკებთ და ნუ დავარქმევთ პაციფისტების თვალთახედვას "ენჯიომტრედების ჟღურტულს", დავუტოვოთ მას არსებობის უფლება და განვიხილოთ მათგან განსხვავებული შეხედულებაც. პირობითად მას **პოლიტიკური რეალიზმის** თვალსაზრისი დავარქვათ.

რეალისტების აზრით, აფხაზეთის კონფლიქტი ერთნაირად იმსახურებს როგორც საშინაო, ისე საგარეო კონფლიქტის სახელს, მაგრამ ის, უპირველეს ყოვლისა, მაინც ქართულ-რუსული კონფლიქტია, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვა არაქართული ეთნოსებიც არიან ჩათრეული. საერთაშორისო კონფლიქტებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა გარედან ატეხილ დაკა-დაკაში შიგა სოციალური, თუ ეთნოსური ჯგუფებიც ებმებიან. სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტი ხშირად ბადებს შიგა, დამატებით კონფლიქტებს. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე რუსეთის მაგალითიც კმარა: პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩართვამ ამ ქვეყანას ორი რევოლუცია (თებერვლის და ოქტომბირის) აჩუქა. რომც შევატრიალოთ მოვლენათა თანამიმდევრობა და კონფლიქტის წყაროდ შიგასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობა მივიჩნიოთ, მაშინაც იგივე შედეგი გვექნება: შიგასახელმწიფო კონფლიქტი არც თუ იშვიათად აპროვოცირებს გარე ჩარევას და პრობლემას საერთაშორისო კონფლიქტის შინაარსს ძენს. მაგალითები აუარებელია: ავღანეთი, კორეა, ვიეტნამი... საერთაშორისო კონფლიქტი კი - გვინდა თუ არა ამის აღიარება - *ომია*. გასაგებია, რომ *კონფლიქტი* აფხაზეთში არ ყოფილა რუსეთის მხრიდან სრულმასშტაბიანი ომი ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში "კონფლიქტი", რამდენადაც ის სახელმწიფოთშორის კონფლიქტია, ნაკლები მასშტაბის, მაგრამ მაინც - *ომია*.

ომის უფლება ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს. მაშინაც კი, როცა სახელმწიფო, საყოველთაო შეფასებით, უსამართლო ომს აწარმოებს, ის მაინც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია და ლეგალურად მოქმედებს. მართალია, აგრესია დაგმობილია, მაგრამ ეს საკითხის მორალური მხარეა. მორალს აქვს თავისი პოლიტიკური შედეგები და საკითხის მორალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მორალი ასეთ შემთხვევაში მაინც არ არის გადამწყვეტი ფაქტორი.

"აგრესორის" მორალური დამღის თავიდან აცილებას კი დიდი სახელმწიფოები იოლად ახერხებენ. საამისოდ ისინი ცდილობენ, არ დააფიქსირონ რეგულარული შეიარაღების მიერ საზღვრის გადალახვა - "*ირიბი*" აგრესიის ყველანაირ ფორმას კი დიდი წარმატებით იყენებენ: პროპაგანდა, დივერსია, ტერორი, მსხვილმასშტაბიანი კონტრაბანდა, "დაქირავებულების" შეგზავნა და სხვადასხვა სახის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომლის მიზანია მოახდინოს შიგაკონფლიქტის პროვოცირება - ის საშუალებებია, რომელსაც შეუძლია, წარმატებით შეცვალოს პირდაპირი აგრესია, ისე რომ, მას ფორმალურად ვერც საერთასორისო ორგანიზაციები და ვერც სამართალი მაინცდამაინც ვერ კიცხავს (რომც გაკიცხოს, ეს ისევ და ისევ მორალური შეფასება იქნება და სხვა არაფერი).

თუ გავითვალისწინებთ იმ უთანაბრობას, რაც ჯერარჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოს და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობდა აფხაზეთის კონფლიქტის გაჩაღების მომენტისათვის, ცხადია, რუსეთის ირიბი აგრესია თავისი ფაქტობრივი შედეგებით პირდაპირ აგრესიაზე ნაკლები ნაყოფის მომტანი არ უნდა გამომდგარიყო. რუსეთის მოქმედებაში პირდაპირი აგრესიის ნიშნებიც იყო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ირიბი აგრესიის პირობებშიც ძნელი წარმოსადგენია, საქართველოს მაშინ რაიმე წარმატებისათვის მიეღწია; *ომი პოლიტიკაა, პოლიტიკის გაგრძელებაა უკიდურესი საშუალებების გამოყენებით, მაშინდელი ქართული პოლიტიკის მესაჭეები კი რუსეთის მიმართ, მეტი რომ არა ვთქვათ, კოლაბორანტული პოლიტიკის გატარებაში არიან ეჭვმიტანილები.*

რუსულ-ქართული კონფლიქტის მონაწილეთა სუბიექტების რიცხვი ორით არასოდეს შემოფარგლულა. რუსეთის გარდა ამ კონფლიქტში ჩაერთვნენ შიგა ეთნოსური უმცირესობები: აფხაზები, ოსები, სომხები; ამ კონფლიქტში მონაწილეობდა ისეთი გავლენიანი პოლიტიკური ძალა, როგორიც იყო "ქართული" საბჭოთა ნომენკლატურა; ამ კონფლიქტის ასევე უაღრესად გავლენიანი აქტორი იყო ორგანიზებული დანაშაულის "უჩინარი იმპერია". სახელმწიფო უაღრესად კრიმინალიზებული იყო და თვით უმაღლეს თანამდებობებზეც კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები და აგენტები: იოსელიანი, ხაჩიშვილი, კიტოვანი და მისთანები მოექცნენ. კრიმინალური იმპერია თავისი არსით ანტისახელმწიფოებრივია და რუსეთის სპეცსამსახურები ამით სარგებლობდნენ.

რუსული სახელმწიფო მაინც მთავარი მოთამაშეა აფხაზეთის ტრაგედიაში და არა მარტო იმიტომ, რომ ჩრდილოკავკასიელები და კაზაკებიც, რომლებიც ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ კონფლიქტში, რუსეთის მოქალაქეები არიან; ეს საქმის მხოლოდ დეტალია. საქმე კი ის გახლავთ, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთი გამოუცხადებელ ომს ეწევა საქართველოს წინააღმდეგ.

რუსეთმა საქართველოს მიმართ ფაქტობრივ აგრესიას მიმართა - ფორმალურად კი აგრესია არ დადასტურდა და ეს პირველ რიგში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის "დამსახურებაა". მაგრამ ფორმალობა არაა მთავარი ფაქტობრივი ვითარების შეფასებისას. სინამდვილეში ტერიტორია რუსეთის მიერაა ანექსირებული. ქართული დიპლომატიის ამოცანა საერთაშორისო არენაზე რეალური ვითარების ადექვატური ფორმალური აღიარებაა, მაგრამ ამის მისაღწევად ცოტა რამ კეთდება. რუსეთის "სამშვიდობო მისიის" საწინააღმდეგო საერთაშორისო თანამეგობრობას აქამდე მაინცდამაინც ბევრი არაფერი ჰქონია. ამ ვითარების შეცვლა ისეთი გამწვავებაა, რომელზეც პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ქართული საზოგადოება და ხელისუფლება აქამდე ვერ მიდიოდა. "გამწვავება" კონფლიქტის მინავლების ფაზიდან ისევ ხანძრის ფაზაში გადაყვანის საფრთხეს შეიცავს. ძლიერი მხარდაჭერის (ან მფარველის, ვთქვათ ნატო-ს ალიანსის წევრობის) გარეშე ასეთი ნაბიჯის გადადგმის ნებას ჩვენი საზოგადოება თავს ვერ მისცემს. დასავლეთს კი გამწვავება ნაკლებად ეპიტნავება, რადგან ეს დამატებით თავისტკივილს გაუჩენს; ახლა კიდევ რუსეთის (ვინ იცის, იქნებ სულაც დაუფარავი და ღია?) აგრესიის შეკავებაღა აკლია საერთაშორისო ტერორიზმთან ამ გაგანია ომში. დასავლეთის აქტიური მხარდაჭერის გარეშე კი საქართველო ომს რუსეთთან კი არა, "გაგაუზიასთანაც" წააგებს...

დახმარება - ქმედითი და გადამჭრელი - როგორც ჩანს, მაინც იქნება, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსეთთან პირდაპირ და დაუფარავ აგრესიას არ ექნეს ადგილი. ეს შესაძლებელია და ეს არის "მშვიდობიანი" გადაწყვეტის უმთავრესი რესურსი. როგორც რუსეთს ერჩივნა, არ მიემართა მთლად შიშველი და დაუფარავი აგრესიისათვის, და გამონახა ამის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის შიგა ელემენტებზე დაყრდნობით, ასევე ჩვენს მოკავშირეებსაც შეუძლიათ "მშვიდობიანი" სცენარის ფარგლებში მოაქციონ ქართულ-რუსული ურთიერთობა, ანუ რამდენადმე მაინც შებოჭონ რუსეთი და ეს არსებითია. ამ პირობებში კი სამუშაო, მათ შორის სამოქალაქო პაციფიზმის ხაზით, მართლაც დიდი იქნება.

თუ როგორი უნდა იყოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო სცენარები, ამაზე აქ ვერ ვისაუბრებთ. დავსძენთ მხოლოდ, რომ გადამჭრელი მოქმედებების მანამდე დაწყება, სანამ ბოლომდე არ ამოწურულა ნატო-ში ჩვენი ინტეგრაციის - მიუხედავად ტერიტორიული პრობლემებისა - შესაძლებლობა, ნაკლებსასურველია, თუმცა ნიადაგი ყველა სცენარისთვის უნდა მოისინჯოს. ცდის და შეცდომის მეთოდის არამიზანშეწონილობის მიუხედავად ის, სათანადო სიფრთხილის შემთხვევაში, მაინც უნდა იქნეს გამოყენებული. გულხელდაკრეფილი ჯდომა საბოლოოდ დაკარგვის რეალურ პერსპექტივას შეიცავს.

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N211 დადგენილების დანართი

ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედნის მიმდებარედ 4500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო პირობები

შესავალი

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის კეთლმოწყობის, გართობისა და დასვენების, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N211 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედნის მიმდებარედ 4500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესება. კერძოდ, ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედნის კეთილმოწყობა, იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსური ობიექტების განთავსება და მისი შემდგომი მოვლა-დაცვისა და განახლების მიზნით მიწის ნაკვეთის 49 წლიანი იჯარით გადაცემა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედანი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსური ობიექტების მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 4500 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე - 1,05 ლარი, სულ 4725 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა:

1. ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედნის კეთილმოწყობა. კერძოდ:

ა) მოედნის ცენტრში თანამედროვე ტიპის შადრევნის მოწყობა არანაკლებ 100 კვ.მეტრზე;

ბ) მოედნის გამწვანების უზრუნველყოფა;

გ) მოედნის მოკირწყვლა ბუნებრივი ქვაფენილით;

დ) დეკორატიული განათება;

ე) ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის დავალების შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების აღდგენა-განახლებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება.

2. ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედნისა და მასზე საკონკურსო პირობების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და განახლება იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში;

3. კონკურსში გამარჯვებულ პირს უფლება ექნება იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსური ობიექტი, რომლის პირველ სართულზე აუცილებლად უნდა განთავსდეს საზკვების ტიპის ობიექტების (სწრაფი კვება, კაფე-ბარი, რესტორანი და ა.შ).

4. კონკურსში გამარჯვებულ პირს უფლება ექნება ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) მოედნის პერიმეტრზე სეზონურად განათავსოს მაგიდები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. შემდგომში ეს პირები მოიხსენიებიან, როგორც პრეტენდენტები.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება კონკურსში მონაწილეობის სურვილი. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებული ასლები.

პრეტენდენტმა განცხადებასთან ერთად წერილობით, დალუქული კონვერტის სახით, უნდა წარუდგინოს განაცხადი, წინადადებები (შემდგომში - განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეტენდენტის ხედვა.

კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 236,25 ლარი, რაც წარმოადგენს 4500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ქირის 4725 ლარის 5%-ს. აღნიშნული თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელი საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები არ აგებენ პასუხს მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

4. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება.

ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, კონკურსში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული გარანტიის გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებულ ასლებს და განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით.

საკონკურსო კომისია დადგენილ დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით საჯარო განხილვისათვის გახსნის განაცხადის დალუქულ პაკეტებს.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მთავრობის მიერ დასმულ საკონკურსო პირობებს.

თუ წარმოდგენილი განაცხადი ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რაც დასჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას.

თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობაზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, ქ. ბათუმის მთავრობა 1 თვის ვადაში გააფორმებს მიწის იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და მისი პირობების შესაბამისად გადასცემს მას საიჯარო ქონებას და ოპერირების უფლებას. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობებისა და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი. ოპერატორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგენელი თუ ქვემოიჯარე იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

მთავრობა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გასცემს სხვა ნებისმიერ პირზე იმ ტერიტორიას, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით ოპერატორის თანხმობის გარეშე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევისა.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 22 დეკემბერს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 22 დეკემბერს 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N212 დადგენილების დანართი

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N109-ში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სავაჭრო ცენტრის მოსაწყობად 3270 კვ.მ. მიწის ფართობის სარგებლობაში (საკუთრებაში გადაცემაზე) გადაცემის საკონკურსო პირობები

შესავალი

ქ. ბათუმში, ბაგრატიონისა და ჰ. აბაშიძის ქუჩების კვეთაში ამჟამად არსებული თავისუფალი ტერიტორიის კეთილმოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 1 ნოემბრის N212 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N109-ში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სავაჭრო ცენტრის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ბაგრატიონისა და ჰ. აბაშიძის ქუჩების კვეთაში არსებული 3270 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება და სავაჭრო ცენტრის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ასევე არსებული თავისუფალი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N109;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სავაჭრო ცენტრის მოსაწყობად ნაკვეთის გადაცემა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 3270 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 8,19 ლარი, სულ 26781,3 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა:

1. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ცენტრის მოწყობა.

2. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 20 თვისა.

3. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) და იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი, მოცულობითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

4. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე საკონკურსო პირობების შესრულების მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ლიკვიდური ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან.

5. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდეგ, იგი გაიცემა გირაოში ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

6. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 1339 ლარი, რაც წარმოადგენს 3270 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 26781,3 ლარის 5%-ს. აღნიშნული თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება შესასყიდი თანხის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე საჭალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 22 დეკემბერს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 22 დეკემბერს 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N213 დადგენილების დანართი

ქ. ბათუმში, მდინარე ბარცხანის შესართავის მარჯვენა მხარეს ზღვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით რესტორნისა და კემპინგის მოსაწყობად 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარით გადაცემაზე) გადაცემის საკონკურსო პირობები

შესავალი

ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N213 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, მდინარე ბარცხანის შესართავის მარჯვენა მხარეს არსებულ ზღვისპირა ზოლში რესტორნისა და კემპინგის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ზღვის სანაპირო ზოლში დასვენებისა და გართობის კერის მოწყობა და მისი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანა და მოსახლეობის დასვენების აქტიურ კერად გადაქცევა, რისთვისაც გათვალისწინებულია რესტორნისა და კემპინგის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის 29 წლიანი იჯარით გადაცემა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, მდინარე ბარცხანის შესართავის მარჯვენა მხარეს არსებული ზღვის სანაპირო ზოლი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - რესტორნისა და კემპინგის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1300 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე - 1,05 ლარი, სულ 1365 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა ქალაქის იერსახის გაუმჯობესება და არსებულ ზვისპირა ზოლზე რესტორნისა და კემპინგის მოწყობა.

სახელმწიფო დანიშნულების მქონე ობიექტის მშენებლობის (განთავსების) აუცილებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებული იქნება ყოველგვარი წინააღმდეგობისა და პირობების გარეშე გაათავისუფლოს იჯარით აღებული ტერიტორია.

საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 2005 წლისათვის დამტკიცებული ტარიფით 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთისათვის 1,05 ლარით, ხოლო შემდეგ წლებში იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის ოდენობიდან გამომდინარე მოხდება ამ თანხის კორექტირება.

იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 10 წლის ვადით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. შემდგომში ეს პირები მოიხსენიებიან, როგორც პრეტენდენტები.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება კონკურსში მონაწილეობის სურვილი. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებული ასლები.

პრეტენდენტმა განცხადებასთან ერთად წერილობით, დალუქული კონვერტის სახით, უნდა წარუდგინოს განაცხადი, წინადადებები (შემდგომში - განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეტენდენტის ხედვა.

კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 68 ლარი, რაც წარმოადგენს 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ქირის 1365 ლარის 5%-ს. აღნიშნული თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელი საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები არ აგებენ პასუხს მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

4. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება.

ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებულ ასლებს და განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით.

საკონკურსო კომისია დადგენილ დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით საჯარო განხილვისათვის გახსნის "განაცხადის" დალუქულ პაკეტებს.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მთავრობის მიერ დასმულ საკონკურსო პირობებს.

თუ წარმოდგენილი განაცხადი ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რაც დასჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას.

თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობაზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, ქ. ბათუმის მთავრობა 1 თვის ვადაში გააფორმებს მიწის იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და მისი პირობების შესაბამისად გადასცემს მას საიჯარო ქონებას და ოპერირების უფლებას. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი. ოპერატორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგენელი თუ ქვემოიჯარე იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

მთავრობა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გასცემს სხვა ნებისმიერ პირზე იმ ტერიტორიას, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით ოპერატორის თანხმობის გარეშე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევისა.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 22 დეკემბერს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 22 დეკემბერს 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N214 დადგენილების დანართი

ქალაქ ბათუმში, ერას ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურსა და შპს "ტალანტის" მიერ მშენებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს შორის გამოთავისუფლებულ 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და განკარგვის (საკუთრებაში გადაცემაზე) საკონკურსო პირობები

შესავალი

ქალაქ ბათუმის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სადღეღამისო სადგომებისა და უსაფრთხოების პირობების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემრის N214 დადგენილების შესაბამისად ქ. ბათუმში ერას ქ. N88-ში მდებარე ბენზინგასამართ სადგურსა და შპს "ტალანტის" მშენებარე მრავალსართულიან სახლს შორის გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი ავტოპარკინგის მშენებლობისათვის 5000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია: ქალაქის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ერას ქ.N88;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მრავალსართულიანი ავტოპარკინგის მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 5000 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე - 15,2 ლარი, სულ 76000 ლარი.

მიწის ნაკვეთის ფასი ყველა მონაწილისათვის ფიქსირებულია და შეადგენს I ქვეზონისათვის დადგენილ ფასს, ანუ 15,2 ლარი, სულ 76000 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა:

1. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი ავტო-პარკინგის აშენება;

2. ნაკვეთის მოშენების ფართია 80%.

3. სართულიანობა დასაშვებია პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად.

4. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 32 თვისა.

5. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) და იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი, მოცულობითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

6. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს N17 და N199 სატრანსფორმატორო ქვესადგურის განთავსება შემდგომში საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის არანაკლებ 100 კვ.მ.-ზე იმდაგვარად, რომ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლებოდეს სატრანსფორმატორო ქვესადგურის ექსპლუატაცია.

7. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე საკონკურსო პირობების შესრულების მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ლიკვიდური ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან.

8. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდეგ, იგი გაიცემა გირაოში ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

9. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 3800 ლარი, რაც წარმოადგენს 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 76000 ლარის 5%-ს. აღნიშნული თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება შესასყიდი თანხის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე საკუთრებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 22 დეკემბერს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 22 დეკემბერს 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N216 დადგენილების დანართი

ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის საერთო ფართიდან 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე გამოცხადებული კონკურსის პირობები

შესავალი

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის კეთლმოწყობის, გართობისა და დასვენების, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N216 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის საერთო ფართიდან 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესება. კერძოდ, ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის კეთილმოწყობა, იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსება და მისი შემდგომი მოვლა-დაცვის და განახლების პირობით მიწის ნაკვეთის 19 წლიანი იჯარით გადაცემა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსება.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 300 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე - 1,05 ლარი, სულ 315 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა:

1. ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის კეთილმოწყობა. კერძოდ:

ა) სკვერის მთლიანი ფართის გამწვანების უზრუნველყოფა;

ბ) დეკორატიული განათება;

გ) სკვერის უზრუნველყოფა საპარკო ინვენტარით.

2. ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერისა და იჯარით აღებულ 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და განახლება (მათ შორის სანდასუფთავების უზრუნველყოფა) იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში;

3. კონკურსში გამარჯვებულ პირს უფლება ექნება იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა (კაფე-ბარად გამოყენების პირობით).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. შემდგომში ეს პირები მოიხსენიებიან, როგორც პრეტენდენტები.

